პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 10 კაპ.

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცკ-ის. და ტფ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო
ტელეფონები: №№ რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—28—17, ხაზდივნის—10—58, მთ. კანტორის—8—31.

კვირა
24
ივნისი
1934 წ.
№ 145 (4001)

დღეს ნომერში

- მკვეთრი წინააღმდეგობანი სახელმწიფოთა შორის ლონდონის საზღვაო კონფერენციაზე.
- მოლაპარაკება აღმოსავლეთ ლოკარნოს შესახებ.
- ხმები ყოფილი კაიზერის დაბრუნების შესახებ გერმანიაში.
- მაკდონალდი მიდის გრძელვადიან „შვებულებაში".
- გებელსი პაპენის წინააღმდეგ.
- წინააღმდეგობანი იაპონიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის.
- მცირე ანტანტის კონფერენციის გადაწყვეტილებანი.
- უკრაინის მთავრობა გადადის კიევში.
- საადრიო საანეულო ხვნის გეგმა საქართველოში შესრულებულია.

სანიმუშო სისუფთავისათვის კვების საწარმოებში!

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1933 წლის 22 დეკემბრის მიმართვაში წინადადება მისცა პარტიულ ორგანიზაციებს უმოკლეს ვადაში გაეუმჯობესებინათ კვების საწარმოების მუშაობა, ეწარმოებინათ ბრძოლა მათი ანტისანიტარული მდგომარეობის წინააღმდეგ და მიეღწიათ მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის.

ამ დირექტივის რეალიზაციის შესამოწმებლად ბელორუსიის და სტალინგრადის კვების საწარმოთა დამკვრელების ინიციატივით პირველ მაისიდან მთელს საბჭოთა კავშირში ტარდება კვების საწარმოთა სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის დათვალიერება. რომელშიაც ჩაბმული არიან საქართველოს საწარმოებიც.

ეს დათვალიერება ძალიან საჭიროა ჩვენში. საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის დირექტივის შესასრულებლად საქართველოს კვების საწარმოებში ძალზე ცოტა რამ გაკეთდა. საწარმოთა უმრავლესობაში კვლავ ჭუჭყია. სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვაზე არ ზრუნავენ, მუშების პირადი ჰიგიენის ტარება მოუგვარებელია. ტფილისის მაკარონის ფაბრიკაში მუშების ინდივიდუალური შკაფები დაჭუჭყიანებულია, ფანჯრებიდან ქარს მტვერი შეაქვს და უხვად ედება ცომს; საპირფარეშოები საშინელ მდგომარეობაშია, მუშები ჭუჭყიანი ხალათებით მუშაობენ, ზოგი ფრჩხილებს არ იწმენდავს.

უკეთესი მდგომარეობა არა გვაქვს არც ზოგიერთ სხვა საწარმოში, როგორც წესი თეთრი ხალათები არ აქვთ საკმაო რაოდენობით. ქუთაისის საკონსერვო ქარხანაში ივლისიდან 800 მუშა იმუშავებს. ხალათებით კი უზრუნველყოფილია მხოლოდ 300. მაგრამ მარტო ხალათები ხომ არ წყვეტს სისუფთავის დაცვის საკითხს. სისუფთავე უნდა დავიცვათ როგორც საამქროს შიგნით, ისე მის გარედ, ქარხნის ეზოში. ქუთაისის საკონსერვო ქარხნის ეზოში კი თავმოყრილია ნაგვის დიდი გროვა, რომლის გატანაზე დღემდე არავის უზრუნვია.

ისეთი მსხვილი საწარმო, როგორიც ნავთლუღის საცივარია, უზრუნველყოფილი არ არის ელემენტარული სანიტარულ-ჰიგიენური პირობებით: მუშებს არ აქვთ ჰიგიენური ტანსაცმელი. არ არის საკმაო საპონი და პირსახოცები.

არა საკმაოდ ზრუნავენ სისუფთავის დაცვაზე აგრეთვე ტფილისის საკონდიტრო ფაბრიკები № 1 № 2 და სხვა საწარმოები.

რაც შეეხება სასადილოებს (ჭიათურა, ტყიბული). აქ ჭუჭყი ჯერ კიდევ ჩვეულებრივ მოვლენად არის გადაქცეული.

პარტია კვების მრეწველობისაგან მოითხოვს გამოსაშვებ პროდუქციის ხარისხის ყოველმხრივ გაუმჯობესებას. ამისათვის პირველ რიგში საჭიროა სისუფთავის დაცვა, სანიტარულ-ჰიგიენური პირობების ზუსტად გატარება. სისუფთავის დაცვა არ მოითხოვს რაიმე მაღალ ტექნიკას, ამისათვის საკმაოა მხოლოდ კარგი მეურნეობრივი თვალი, დისციპლინა, წესრიგი და კულტუროსნობა მუშების და მოსამსახურეების მხრიდან. სწორედ ეს მეურნეობრივი თვალი აკლია ჩვენს საწარმოთა უმრავლესობას.

დათვალიერებამ გამოაცოცხლა ზოგიერთი საწარმოს მუშაობა სანიტარია-ჰიგიენის დარგში, აამოძრავა მუშათა საზოგადოებრიობა ამ საჭირბოროტო საკითხის ირგვლივ. დათვალიერების პროცესში ზოგან საკმაო მუშაობა ჩაატარეს სანიტარულ-ჰიგიენური პირობების განხორციელებისათვის. ასე, მაგალითად, ტფილისის ხორცის კომბინატმა ამ მიზნით დაახარჯა 50 ათასი მანეთი. მოაწყო ჰიგიენის საამქრო და სხვა.

მაგრამ ეს, ასე ვსთქვათ, ბედნიერი გამონაკლისია. უმეტესი საწარმოები კვლავ ძველებურად მუშაობენ. კვების მრეწველობის პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ არა საკმაო აქტიურად არიან ჩაბმული პარტიის ცენტრალური კომიტეტის დირექტივის რეალიზაციის შემოწმებაში. მათი ამოცანაა — არა მარტო ხელი შეუწყონ შემმოწმებელ კომისიებს, ახლო მონაწილეობა მიიღონ ამ კომისიების მუშაობაში, არამედ მიაღწიონ იმას, რომ ნამდვილად გატარდეს მუშების და შემმოწმებელ კომისიების წინადადებანი.

რომ მთლიანად შესრულდეს ცენტრალური კომიტეტის დირექტივა და გაუმჯობესდეს კვების პროდუქციის ხარისხი, აუცილებელია გავატაროთ ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ კარგ სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს, **საწარმოო პროცესის მთელს მანძილზე.**

ამასთანავე უნდა გავაძლიეროთ ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური კონტროლი. ავამაღლოთ საქარხნო ლაბორატორიების როლი, გავამაგროთ ისინი საქმის მცოდნე შემოწმებული კომუნისტებით და კომკავშირელებით, როგორც ამას მოითხოვს საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის დირექტივა.

პარტიის მიერ კვების მრეწველობის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა რეალიზაციის შემოწმება — მუშათა ჯანმრთელობისათვის, მშრომელთა კულტურულ მომსახურეობისათვის ბრძოლის ერთ-ერთი ფრიად მნიშვნელოვანი უბანია. უსუფთაობისა და უკულტურობის წინააღმდეგ დაწყებულ ამ ლაშქრობაში პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები პირველ რიგში უნდა ჩადგნენ.

კიევი საბჭოთა უკრაინის დედაქალაქი

ხვალ უკრაინის ს. ს. რესპუბლიკის მთავრობა გადადის საბჭოთა უკრაინის ახალ დედაქალაქში — კიევში. ზუსტად და ვადაზე შესრულდა უკრაინის კ.პ. (ბ) მე-12 ყრილობის და სრულიად უკრაინის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება.

უკრაინის ს. ს. რესპუბლიკის პროლეტარიატი, კოლმეურნე გლეხობა და ყველა მშრომელი უდიდესი კმაყოფილებით შეხვდებიან ამ ცნობას. კიევი — საბჭოთა კავშირის ერთერთი უძველესი ქალაქი — ამიერიდან ხდება საბჭოთა უკრაინის სოციალისტური მშენებლობის ცენტრი. მთავრობის გადასვლა კიევში—ეს მარტო დიდი ისტორიული მიჯნა როდია საბჭოთა უკრაინის განვითარების ისტორიულ გზაზე, არამედ არის დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის ფაქტიც:

თავისი ისტორიის „ხარკოვის" პერიოდში საბჭოთა უკრაინამ განვლო უდიდეს ისტორიულ გამარჯვებათა ბრწყინვალე გზა.

ცენტრალური რადის და გეტმანშჩინის წინააღმდეგ, გერმანელი, ავსტრიელი და სხვა ინტერვენტების წინააღმდეგ, დენიკინშჩინის, „საკუთარი" და მთელი საერთაშორისო კონტრრევოლუციური არამზადების წინააღმდეგ შეუპოვარ ბრძოლებში უკრაინის პროლეტარებმა და მშრომელმა გლეხებმა საბჭოთა კავშირის ყველა პროლეტარებთან ერთად ბოლშევიკების ხელმძღვანელობით დაიცვეს საბჭოთა უკრაინა ინტერვენტებისაგან. განა შესაძლებელია იმის დავიწყება, თუ როგორ იბრძოდნენ კიევის პროლეტარები, წითელდროშოვანი არსენალის მუშები ოქტომბრის რევოლუციისათვის, უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის.

პროლეტარულმა დიქტატურამ, საბჭოთა ხელისუფლებამ ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით, ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით დაბეჩავებული და ჩამორჩენილი მეფის კოლონია გადააქცია საბჭოთა კავშირის ერთერთ მოწინავე ინდუსტრიალურ რესპუბლიკად. დონბასის მძლავრი განვითარება, ათასობით ახალი სამრეწველო საწარმოები, პირველი ხუთწლედის გიგანტები— დნეპროჰესი, ხარკოვის სატრაქტორო ქარხანა და ათეული სხვა ქარხნები — აი უკრაინის და მთელი საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის უდიდეს გამარჯვებათა მკაფიო მაჩვენებლები.

ამაზე ნაკლები როდია გამარჯვებანი სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის მხრივაც. უკრაინა. ოდესღაც მემამულეთა უდიდესი ლატიფუნდიების და დაბეჩავებული ღატაკი გლეხობის ქვეყანა, ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით გადაიქცა მოწინავე კოლექტიური მიწათმოქმედების აყვავებულ ქვეყნად.

უკრაინის მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ამ მძლავრ ბაზაზე, მისი კოლონიალური მდგომარეობის სრული ლიკვიდაციის საფუძველზე, განუზომელია მისი წარმატებანი ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური— კულტურული მშენებლობის დარგშიც. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, სასკოლო მშენებლობის გიგანტური გაქანება, ასობით უმაღლესი სასწავლებლები და სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტები, უკრაინის ლიტერატურის და ხელოვნების აყვავება — ასეთია ის ფაქტები, რომლებიც მოწმობენ პროლეტარიატის და კოლმეურნე გლეხობის უდიდეს შემოქმედებით ძლიერებას, მის დაუშრეტელ ძალებს. აი რას მიაღწიეს უკრაინის პროლეტარებმა და მშრომელებმა, რომლებმაც მოიგდებინეს მეფეების, მემამულეების, ფაბრიკანტების და ბანკირების უღელი, როცა მათ ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით განამტკიცეს პროლეტარიატის დიქტატურა. ამას აშკარად მოწმობენ დღეს დაბეჭდილი მასალები საბჭოთა უკრაინის შესახებ, განსაკუთრებით ამხ. კოსიორის და ლიუბჩენკოს წერილები.

სწორად უწოდა ამხ. პოსტიშევმა სოციალისტური მშენებლობის შედეგებს უკრაინაში — „უდიდესი სიხარულის და ნუგეშის ზარის რეკვა უკრაინის და მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელთათვის...

ეს შედეგები წარმოადგენენ სამგლოვიარო ზარის ხმას მემამულეებისა და კაპიტალისტებისათვის, ბანკირებისა და კულაკებისათვის, რომლებიც ძარცვავდნენ და ჯიჯგნიდნენ უკრაინას.

ამ უდიდესი შედეგების ზარის რეკვა სერიოზულ გაფრთხილებას წარმოადგენს ყველა იმათთვის, ვინც ოცნებობს საბჭოთა კავშირიდან უკრაინის მოწყვეტაზე.

დედა-ქალაქის გადატანა ხარკოვიდან კიევში ახალ გვერდს ხსნის საბჭოთა უკრაინის ისტორიაში:

უკრაინის მთავრობის და ცენტრალური პარტიული და საბჭოთა აპარატების მიახლოვებას უკრაინის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე უმნიშვნელოვანეს სასოფლო-სამეურნეო რაიონებთან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შემდგომი ინდუსტრიალიზაციისა და სოციალისტური სოფლის მეურნეობის განმტკიცებისათვის, ნაციონალურ-კულტურული მშენებლობის განვითარებისა და ბოლშევიკური უკრაინიზაციისათვის.

ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ „კიევის" პერიოდი საბჭოთა უკრაინის ისტორიაში აღნიშნული იქნება ახალი დიდი გამარჯვებებით სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე.

ნაციონალისტურ კონტრრევოლუციას უკრაინაში არაერთხელ უცდია დაეპირისპირებია კიევი ხარკოვისათვის. ეს ბრმა კონტრრევოლუციონერები ვერ ხედავდნენ, როგორ იბადებოდა და იზრდებოდა ახალი, საბჭოთა კიევი. კიევი, რომელმაც უდიდესი განადგურება განიცადა იმპერიალისტური და სამოქალაქო ომებისაგან, გადაიქცა მნიშვნელოვან ინდუსტრიალურ ცენტრად. საშუალო მანქანათმშენებლობის და მსუბუქი ინდუსტრიის ცენტრად. გაიზარდა და განმტკიცდა მისი პროლეტარული მოსახლეობა.

კიევში შექმნილია სასწავლო და სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებებისა და ინსტიტუტების დიდი ქსელი. კიევი უნდა გახდეს და გახდება კიდეც პროლეტარული უკრაინის ღირსეული დედაქალაქი.

განა სასაცილოდ არ გვეჩვენება, როდესაც ნაციონალისტური კონტრრევოლუციის ნამსხვრევები, რომლებიც გადადიოდნენ და გადადიან ბურჟუაზიული სახელმწიფოების ყველა კონტრდაზვერვის სამსახურში, კვლავ განაგრძობენ თავის უბადრუკ ცდებს შეითითხნონ ახალი იმპერიალისტური გეგმები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, გაიხილონ კიევი და უკრაინის მარჯვენა სანაპირო როგორც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის პლაცდარმი?

დედაქალაქის გადატანა კიევში მოწმობს მთელი საბჭოთა კავშირის უდიდეს ძლიერებას, ამ ცდების განწირულობას, იმ გამანადგურებელ პასუხს, რომელსაც მიიღებენ ყველა ეს „ბატონები", რომლებსაც ჯერ კიდევ ვერ გაუგიათ, რომ უკრაინა დიადი საბჭოთა კავშირის განუყოფელი ნაწილია.

მხურვალე ბოლშევიკური სალამი საბჭოთა უკრაინის პროლეტარებს, კოლმეურნეებს, მეცნიერებისა და ტექნიკის მუშაკებს და ყველა მშრომელებს.

განსაკუთრებული სალამი კიევს — უკრაინის საბჭოთა, სოციალისტური რესპუბლიკის ახალ დედაქალაქს — მუშებს და მშრომელებს.

(23 ივნისის „პრავდის" მოწინავე წერილი)

ამხ. პიატაკოვი ბათუმში

ბათუმი, 23 ივნისი (ტელეფონით საკ. კორ.). ბათუმში ჩამოვიდა საკავშირო მძიმე მრეწველობის სახ. კომისრის მოადგილე ამხ. პიატაკოვი, რომელმაც დაათვალიერა მანქანათმშენებლობის ქარხნის მშენებლობა, აწჭესი, ბუნებრივის სალებავის ქარხანა.

ამხ. პიატაკოვი კარგად გაეცნო აჭარისტანის მეურნეობას და განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ძირითად კულტურებს— ციტრუსებისა და ჩაის განვითარების საკითხებს, ინახულა ჩაქვის საბჭოთა მეურნეობა და ქობულეთის რაიონის სხვადასხვა საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობები.

საზღვაო მოლაპარაკება ლონდონში

ინგლისის და ამერიკის ინტერესების შეჯახება

(ტელეგრაფით „პრავდის" ლონდონელ კორესპონდენტისაგან)

ლონდონი, 22 ივნისი. საზღვაო კონფერენციის მომზადების გარშემო წარმოებული წინასწარი მოლაპარაკების პირველმავე ეტაპმა ცხადჰყო, რამდენად მწვავე და მრავალმხრივია წინააღმდეგობა სახელმწიფოებს შორის.

გუშინ ლონდონის დელეგაციის მიერ წამოყენებულმა მოთხოვნებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამერიკის დელეგაციაზე, რომელიც იმ აზრისაა, რომ ინგლისის ასეთი პოზიცია აძლიერებს იაპონიის პრეტენზიებს და მას შეიძლება შედეგად მოჰყვეს მხოლოდ გაამწვავებული შეჯიბრება საზღვაო შეიარაღებაში. ამერიკის დელეგაციამ გამოითხოვა ინსტრუქციები ვაშინგტონიდან და მოლაპარაკების შემდგომი განვითარება მოსალოდნელია მხოლოდ ამ ინსტრუქციების მიღების შემდეგ.

„დეილი ჰერალდი" ბრიტანეთის საადმირალო სამმართველოს პროგრამის შესახებ წერს: „ტყვეებმა განიარაღების შესახებ ადვილი დაუთმო შეიარაღების გეგმებს. მთავრობამ ნიღაბი მოიხსნა".

მეორე შესანიშნავ მომენტს მოლაპარაკების პროცესში წარმოადგენს საფრანგეთის შეკითხვა ბრიტანეთის მთავრობის მიმართ. როგორც საქმესთან გაცნობილ წრეებიდან იუწყებიან, მოლაპარაკებაში მონაწილეობაზე თანხმობის მიცემის დროს საფრანგეთმა ბრიტანეთის მთავრობას დაუსვა შემდეგი სამი კითხვა:

1. **შესაძლებელია თუ არა მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ იქნან სხვა სახელმწიფოები, ლონდონის ხელშეკრულების დამდებ ხუთ სახელმწიფოს გარდა?**
2. **წინააღმდეგია თუ არა ბრიტანეთის მთავრობა იმის, რომ ლონდონის პარალელურად წინასწარი მოლაპარაკება წარმოებდეს სხვა დედაქალაქებშიაც?**
3. **განზრახული აქვს თუ არა ბრიტანეთის მთავრობას დაიცვას გერმანიის თანასწორობა საზღვაო შეიარაღებაში, ისე როგორც იგი ამას სჩადის ხმელეთზე შეიარაღების საკითხში?**

ამ კითხვებთან დაკავშირებით ბრიტანული წრეები დიდ უხერხულობას გრძნობენ და ყველაზე უფრო ეშინიათ აშკარა დისკუსიისა ამ თემაზე.

ასეთმა დისკუსიამ, მათი აზრით, შეიძლება სავსებით ნათელი გახადოს ის გარემოება, რომ ინგლისს სხვებისთვის სურს ის, რაც არ უნდა თავისთვის და რომ იგი ცდილობს უნივერსალური შუამავლობის გზით განსაკუთრებული გავლენა მოიპოვოს საერთაშორისო პოლიტიკის მიმდინარეობაზე.

მაიორსკი

საფრანგეთის პრესა „აღმოსავლეთის ლოკარნოს" შესახებ

პარიზი, 20 ივნისი. „პტი პარიზიენი" იტყობინება:

„14 ივნისს ლიტვინოვმა ნეირატს მიმართა წინადადებით — გადაექციათ ურთიერთი დახმარების ბალტიკის პაქტი „აღმოსავლეთის ლოკარნოდ", რომელშიც მონაწილეობას მიიღებდნენ გერმანია, პოლონეთი და საბჭოთა კავშირი, ისინი ამავე დროს უნდა ყოფილიყვნენ ამ პაქტის გარანტები. პაქტს შეიძლებოდა შეერთებოდა ჩეხოსლოვაკიაც. თუმცა ამ წინადადებას ძალიან ცივად შეხვდნენ, მაგრამ საფრანგეთის მთავრობამ რომელიც გულწრფელად მხარს უჭერს საბჭოთა პროექტს და რომელსაც სურს დაუმტკიცოს გერმანიას, რომ იგი არ ცდილობს მის გარემოცვას, თავის მხრივ ენერგიული ნაბიჯი გადადგა ბერლინსა და ვარშავაში და თხოვა მათ თანაგრძნობით შეესწავლათ რეგიონალური პაქტის ეს ახალი პროექტი". „ლოკარნოს ხელშეკრულებასთან და ბალკანეთის პაქტთან ერთად,—განაგრძობს გაზეთი, — ახალი შეთანხმება თითქმის მთელ ევროპას მოიცავდა. იგი შესაძლებელს გახდიდა უფლებათა თანასწორობის უზრუნველყოფას ყველასათვის თანაბარი უშიშროების პირობებში, აგრეთვე გერმანიის დაბრუნებას ჟენევაში და განიარაღების შემცირების და შეზღუდვის კონფერენციის წარმატებას".

„დღემდის ჩვენში არ შექმნილა შთაბეჭდილება, — განაგრძობს „პტი პარიზიენი",— რომ ვარშავა მეტი ენტუზიაზმით გამოხმაურებოდეს საფრანგეთის ნაბიჯს, ვიდრე ბერლინი გამოეხმაურა ვენეციაში მუსოლინის და ჰიტლერის შეხვედრის და პოლონეთში გებელსის დარბაზობის შემდეგ გადადგმულ ნაბიჯს".

გაზეთი ფიქრობს, რომ ინგლისი, რომლისთვისაც ახალი პროექტიდან არავითარი ახალი ვალდებულება არ გამომდინარეობს, მას უფრო თანაგრძნობით შეხვდება. გაზეთები, ეხებიან რა საფრანგეთის მთავრობის გამოსვლებს, წერენ „საფრანგეთ - საბჭოთა კავშირის გაერთიანებული დემარშის" შესახებ.

„აჟანს ეკონომიკ ე ფინანსიერი", ადასტურებს რა „პტი პარიზიენის" მიერ მოყვანილ ცნობებს საფრანგეთის დემარშისადმი ბერლინის და ვარშავის დამოკიდებულების შესახებ, აცხადებს, რომ საბჭოთა პროექტის პრინციპი, ვითომ, მოიწონა ინგლისის მთავრობამ. ამასთან გაზეთი აღნიშნავს: მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის დემარშს ბერლინსა და ვარშავაში ცივად შეხვდნენ, „აღმოსავლეთის ლოკარნოს" პროექტის ავტორებს — იგი სრულიადაც არ მიაჩნიათ დასამარებულად (ტას).

საფრანგეთის მიერ წამოყენებული „უშიშროების გეგმის" შესახებ

ლონდონი, 20 ივნისი. „ნიუს ქრონიკლის" პარიზელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ გუშინ საფრანგეთის მთავრობამ ინგლისის მთავრობას განსახილველად გადასცა „უშიშროების გეგმა", გამომუშავებული იმ წინადადების საფუძველზე, რომელიც ლიტვინოვმა ჟენევაში წამოაყენა. კორესპონდენტი დასძენს, რომ ინგლისის ელჩი პარიზში ამ საკითხის გამო ესაუბრა ბარტუს და საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს (ტას).

მაკდონალდი ხანგრძლივ „შვებულებაში" მიდის

ლონდონი, 22 ივნისი. („პრავდის" საკ. კორესპონდენტისაგან). ამ ბოლო დროს პრემიერ-მინისტრ მაკდონალდის ჯანმრთელობა საგრძნობლად გაუარესდა. ექიმებმა მას ურჩიეს აიღოს ხანგრძლივი შვებულება. როგორც იუწყებიან, მაკდონალდი გაემგზავრება სამხრეთ ამერიკაში. პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად იგი დაბრუნდება მხოლოდ ოქტომბერში, როცა საზაფხულო შესვენების შემდეგ განახლდება პარლამენტის მუშაობა.

სამშვიდობო კონგრესისადმი (ბირმინჰემში) მიმართვაში მაკდონალდი წერს, რომ „შეიარაღების შეზღუდვის შესახებ წარმოებული მოლაპარაკების გაჭიანურებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება გერმანიას, რომლის კონფერენციიდან წასვლა შარშან, როგორც ყველანი აღნიშნავენ; არ შეიძლება გამართლებულ იქნას და რომელსაც დაბრუნებისათვის მუდამ ღია ჰქონდა კარები".

მაიორსკი

საიტოს საუბარი რუზველტთან და ხელლთან

ვაშინგტონი, 21 ივნისი. იაპონიის ელჩმა საიტომ, რომელიც მომავალ კვირას იაპონიაში მიემგზავრება, ინახულა რუზველტი, ხოლო შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრი ხელლი. საქმეს კარგად გაცნობილ წრეებში ამტკიცებენ, რომ არც ერთ ამ დარბაზობას არ გაუუმჯობესებია ამერიკა იაპონიის ურთიერთობა. საიტომ ხელლი ინახულა იაპონიის ვაშინგტონელ კონსულთან ერთად.

პრესის წარმომადგენლებთან საუბრისას საიტომ განაცხადა, რომ ხელლთან საუბრის დროს იგი შეეხო საზღვაო შეიარაღების საკითხს. მაგრამ ხელლმა მას მიუთითა, რომ ამ საკითხს ლონდონში არკვევენ. როგორც იტყობინებიან, რუზველტი უკმაყოფილოა იაპონიის საელჩოს მიერ ინსპირირებული, პრესაში მოთავსებული ცნობებით იმის შესახებ, რომ განზრახულია მისი შეხვედრა იაპონიის სახელმწიფო მოღვაწესთან გონოლულუში (ჰავაის კუნძულები). ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაუყოვნებლივ უარყო ეს ცნობა და ამით აიძულა იაპონიის საელჩოც გამოექვეყნებია მისი გაბათილება. მაგრამ საქმეს კარგად გაცნობილმა წრეებმა იციან, თუ საიდან წარმოიშვა ჭორები, რომ რუზველტი გონოლულუში იაპონიის წარმომადგენლებს შეხვდება.

პრესის წარმომადგენლებთან საუბრისას ხელლმა განაცხადა, რომ საიტოსთან მისი საუბრისას ფრიად ზოგადი სახით იქნა განხილული საგარეო პოლიტიკის საკითხები. მომავალ საზღვაო კონფერენციის თარიღის და ადგილის საკითხს არ შეეხებიან. (ტას).

საპროტესტო რეზოლუცია ტელმანის გასამართლების წინააღმდეგ

პარიზი, 22 ივნისი. გუშინ რენოს საავტომობილო ქარხანაში გაიმართა მიტინგი, რომელსაც 2 ათასი მუშა დაესწრო. მიღებულ იქნა საპროტესტო რეზოლუცია ტელმანის მოსალოდნელი გასამართლების წინააღმდეგ (ტას).

მცირე ანტანტის საბჭოს კონფერენციის გადაწყვეტილებანი

ვენა, 21 ივნისი. როგორც ბუქარესტიდან იტყობინებიან, გუშინ დაიხურა მცირე ანტანტის მუდმივი საბჭოს კონფერენცია. მცირე ანტანტის საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ ერთად გამოქვეყნებული ცნობა აღნიშნავს, რომ კონფერენცია უაღრესად შეშფოთებულია საერთაშორისო მდგომარეობით, კერძოდ-ევროპაში არსებული მდგომარეობით, და სავსებით იძლევა, რომ საყოველთაო მშვიდობიანობა საფრთხეშია, უწინარეს ყოვლისა განიარაღების საქმეში შექმნილ დაბრკოლებათა და რევიზიონისტულ მისწრაფებათა გამო, რომლებიც ევროპას უქადიან ერთმანეთთან მოქიშპე ქვეყნების ბლოკებად დაყოფას. ამავე დროს კონფერენცია ესალმება საფრანგეთის და საბჭოთა კავშირის მეცადინეობას, რომ შენარჩუნებულ იქნას საყოველთაო მშვიდობიანობა, და აღნიშნავს „სისხლისმღვრელ სოციალურ შედეგებს, რაც ემუქრება იმ ქვეყნებს, რომლებიც ეწევიან თავდასხმის რისკს". კონფერენცია მოითხოვს მშვიდობიანობის დაცვაში დაინტერესებული ყველა ქვეყნის საერთაშორისო თანამშრომლობას.

მცირე ანტანტის მიმართ კონფერენციამ დაადგინა, რომ მან ხელი უნდა შეუწყოს განიარაღებას, მონაწილეობა მიიღოს რეგიონალურ პაქტებში, უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაუწიოს ჰაბსბურგთა რესტავრაციას, განაგრძოს მეგობრობა პოლონეთთან და განახორციელოს ბალკანეთის პაქტი. ცნობაში გამოთქმულია „კმაყოფილება, რომ რუმინეთსა და ჩეხოსლოვაკიასთან საბჭოთა კავშირის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის გამო, რაც უნდა ჩაითვალოს მცირე ანტანტის ზაგრების კონფერენციების მიერ თანამშრომლობისა და მშვიდობიანობის დაცვის შესახებ წინათ გამოტანილ გადაწყვეტილებათა წარმატებად".

ეხება რა უნგრეთის პრემიერ გემბეშის მიერ ედინბურგში უკანასკნელად წარმოთქმულ სიტყვას, ცნობა აღნიშნავს, რომ გამოდის რა ასეთი განცხადებებით, „უნგრეთი ქმნის შთაბეჭდილებას, რომ იგი გვერდს უხვევს თანამშრომლობას და ევროპის ეკონომიურ აღდგენას".

მცირე ანტანტის შემდეგი კონფერენცია შედგება სექტემბერს ჟენევაში.

სამხრეთ - სლავიის „პოლიტიკის" გადმოცემით, კონფერენციამ აღნიშნა, რომ მცირე ანტანტის ცალკეული ქვეყნების შეერთება ხმელთაშუაზღვის, აგრეთვე აღმოსავლეთ-ევროპის პაქტებისადმი არ ემუქრება მცირე ანტანტის ერთიანობას, პირიქით — ამაგრებს მას (ტას).

რუმინეთის პრესა გემბეშის სიტყვის შესახებ

ვენა, 21 ივნისი. რუმინეთის პრესა აცხადებს, რომ გემბეშის მიერ ედინბურგში უკანასკნელად წარმოთქმულმა სიტყვამ შეუძლებელი გახადა მცირე ანტანტის შეერთება რომლისამე პაქტისადმი. „უნივერსულ" ამის გამო წერს: „უნგრეთის მიერ რევიზიის საკითხის წამოყენება წააწყდება რუმინეთის არმიის ზარბაზნებს" (ტას).

ფაშისტური რეჟიმით უკმაყოფილება გერმანიაში

ბერლინი, 22 ივნისი. ამ დღეებში პოტსდამის მახლობლად სოფელში მოჰკლეს ადგილობრივი ნაციონალ-სოციალისტური ორგანიზაციის მოლარე. გაზეთებში გამოქვეყნებული ცნობებიდან გარკვევით არ ჩანს რა პირობებში მოხდა მკვლელობა. ეს მკვლელობა ცხადჰყოფს, თუ რა დიდ უკმაყოფილებას იწვევს პროვინციაში ნაციონალ-სოციალისტური ზომები.

გაზეთების სიტყვით, დაპატიმრებული მკვლელი — კათოლიკური ორგანიზაციის „დეიჩე იუგენდკრაფტის" წევრია. გაზეთები ამტკიცებენ, რომ ამ ორგანიზაციის წევრები აქტიურად „აქეზებდნენ" მკვლელობისაკენ. ორგანიზაცია „დეიჩე იუგენდკრაფტი" აკრძალეს. დაპატიმრებულია 11 კაცი, მათ შორის იმ სოფლის მასწავლებელი, სადაც მოხდა მკვლელობა. (ტას).

გებელსი ცოფს ჰყრის „კრიტიკანების" წინააღმდეგ

ბერლინი, 22 ივნისი. გუშინ ნაციონალ-სოციალისტური პარტიის კრებაზე გამოვიდა გებელსი. მისი სიტყვა უმთავრესად მიმართული იყო პაპენის წინააღმდეგ. უწოდა რა იმ წრეებს, რომელთა აზრი გამოხატა პაპენმა, „კრიტიკანების სექტა და ხროვა", გებელსი განსაკუთრებით შეეცადა უარეყო პაპენის განცხადება, რომ ფართო მასების განწყობილება უფრო და უფრო უარესდება, და განსაკუთრებით ენერგიულად მოუწოდა თავის აუდიტორიას „აღკვეთოს ნაციონალ-სოციალისტურ პარტიასთან მოტმასნილი სუბიექტების ცდა ძირი გამოუთხარონ ნაციონალ-სოციალიზმს".

შეეხო რა გერმანიის საგარეო პოლიტიკურ მდგომარეობას, გებელსმა განაცხადა: „17 თვის განმავლობაში, რაც ხელისუფლების სათავეში ვიმყოფებით, ჩვენ იძულებული ვიყავით აღგვენიშნა ის სამწუხარო ფაქტი, რომ მთელი მსოფლიო ჩვენ მიმართ მეტ წილად მხოლოდ სიძულვილს იჩენს". (ტას).

„დეილი ჰერალდის" სენსაციური ცნობა

(„იზვესტიას" საკ. კორ.)

ლონდონი, 22 ივნისი. „დეილი ჰერალდის" სპეციალური კორესპონდენტი იუწყება მის მიერ დორნში ყოფილ კაიზერის ახლობელ პირისაგან მიღებულ შემდეგ სენსაციურ ცნობებს: ექს-კაიზერი ფიქრობს, რომ იგი ჯერ კიდევ მიმდინარე წელს დაბრუნდება გერმანიაში. ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელებს შორის არსებული დიდი წინააღმდეგობანი, რაც გამოაშკარავდა ფონ-პაპენის გამოსვლით, ინგლისური გაზეთის კორესპონდენტის სიტყვით, სრულიადაც არ იყო მოულოდნელი გერმანიის ყოფილი იმპერატორისათვის, ვინაიდან მას მთელი რიგი თვეების განმავლობაში კავშირი ჰქონდა რეიხსვერის ხელმძღვანელობასთან და შეიტყო მისგან, რომ უკვე შემუშავებულია სამხედრო დიქტატურის გამოცხადების გეგმა, რომლის განხორციელება განზრახულია სექტემბერში.

„დეილი ჰერალდის" კორესპონდენტის თანამოსაუბრემ შემდეგ განაცხადა, რომ გენერალი ბლომბერგი მოელის მუშათა გამოსვლას და ამ გამოსვლების თავიდან ასაცილებლად მას საჭიროდ მიაჩნია სამხედრო დიქტატურის გამოცხადება. ფონ-პაპენი რჩება თავის პოსტზე, რათა ხელი შეუწყოს ურთიერთობის გაუმჯობესებას პაპის ტახტთან. ფონ-ნეირატი დაუყოვნებლივ გადადგამს ნაბიჯს ერთა ლიგაში გერმანიის დაბრუნებისაკენ. ექს-კაიზერი ფიქრობს, რომ ეს დათმობა პარიზისა და ლონდონისადმი უზრუნველჰყოფს საფრანგეთის და ინგლისის თანხმობას გერმანიაში ჰოგენცოლერნების რესტავრაციაზე.

„დეილი ჰერალდი" მთელი ეს ცნობა ატარებს სიმართლეს მოკლებული სენსაციის ხასიათს, მაგრამ ის გარემოება, რომ ლონდონის დიდმა გაზეთმა შესაძლებლად სცნო მისი გამოქვეყნება, აგრეთვე ის ფაქტი, რომ ყველას როდი მიაჩნია იგი მოჭორილ ამბად, მოწმობს, რომ ინგლისში ზოგიერთებს სჯერათ, რომ გერმანია იმყოფება სერიოზული შინაპოლიტიკური ამბების წინაშე.

ჟენკინსი

6 თებერვლის ამბების გამომძიებელი საპარლამენტო კომისიის რეზოლუცია

პარიზი, 22 ივნისი. 6 თებერვლის ამბების (ფაშისტური გამოსვლა პარიზში) გამომძიებელმა საპარლამენტო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელშიაც აღნიშნულია, რომ „საზოგადოებრივი წესრიგისათვის საფრთხეს წარმოადგენს ისეთი ორგანიზაციების არსებობა, რომლებიც, როგორც არ უნდა იყოს მათი მიზნები, ემორჩილებიან დისციპლინას და ბელადების აბსოლუტურ ძალაუფლებას". რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ საქმე ეხება ფაშისტურ ორგანიზაციებს: „მეფისვაჟკაცები", „ფრანგული სოლიდარობა", „პატრიოტული ახალგაზრდობა" და „მებრძოლი ჯვრები". რეზოლუცია მიღებულ იქნა 16 ხმით 4-ის წინააღმდეგ. (ტას).

მაკედონელი ავტონომისტების გამოსვლა

ვენა, 21 ივნისი. როგორც სოფიიდან იუწყებიან, დადასტურდა ცნობა იმის შესახებ, რომ მაკედონელმა ავტონომისტებმა (მიხაილოველებმა) მოკლეს მაკედონიის კომუნისტების ბელადი კავრაკიროვი. მაგრამ ბულგარეთის პრესა დაჟინებით ჩქმალავს ამ მკვლელობას. რუმინეთის სააგენტო „რადორის" გადმოცემით, ბულგარეთის ყველა მინისტრმა მაკედონელი ავტონომისტებისაგან მიიღეს მუქარის წერილები ულტიმატუმით შეწყვიტონ მაკედონელ ავტონომისტთა ორგანიზაციების დევნა.

შემდეგ მიხაილოველები მოითხოვენ, რომ მაკედონელ ავტონომისტთა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ნება დართონ იცხოვრონ ბულგარეთის ტერიტორიაზე. სოფიის გაზეთი „პოლიტიკა" სარწმუნო წყაროებიდან იუწყება, რომ უკანასკნელ დღეებში მაკედონიის ბულგარეთის ნაწილის სხვადასხვა ადგილას მოხდა შეტაკება მიხაილოველებსა და ჯარებს შორის. მაკედონელ ავტონომისტების ცენტრალური კომიტეტის წევრი ნასტევი მოკლეს საბერძნეთის საზღვარზე შეტაკების დროს. ბულგარეთის მაკედონიაში ჯარები გააძლიერეს, სოფიიდან გამოგზავნილი ტყვიამფრქვევიანი ნაწილებით (ტას).

ბარტუ ბუქარესტში

ვენა, 21 ივნისი. ბარტუ ჩავიდა ბუქარესტში, დაწყებული რუმინეთის საზღვრიდან, ბარტუს ყველა სადგურზე ოვაციებით ხვდებოდნენ. ბუქარესტის ვაგზალზე ბარტუს მიესალმნენ მცირე ანტანტის საგარეო საქმეთა მინისტრები უკლებლივ და რუმინეთის კაბინეტის მთელი შემადგენლობა. მეორე საფრანგეთის პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს აღნიშნა, რომ ეს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი დარბაზობაა ბუქარესტში.

რუმინეთის პრესის წარმომადგენლებთან საუბრისას ბარტუმ განაცხადა, რუმინეთი შეიძლება დარწმუნებული იყოს, რომ საფრანგეთი არ დაუშვებს საზავო ხელშეკრულებათა რევიზიას. მან დასძინა, რომ საფრანგეთი იტალიასთან და ინგლისთან ერთად უზრუნველყოფს ავსტრიის დამოუკიდებლობას, და ეს მიაჩნია ევროპაში წესრიგის დაცვის ძირითად პირობად. (ტას).

ნაციონალ სოციალისტების ტერორი ავსტრიაში

ვენა. 21 ივნისი. ავსტრიის ნაციონალ-სოციალისტებს უკანასკნელ დღეებში ინსბრუკში ჰქონდათ ამოღებული უმთავრესად ფოსტა. ელექტროსადგურები, ტელეგრაფი და სხვ. ფორარლბერგის, კარინტიის და ზემო ავსტრიის მრავალ ადგილში დაზიანებულია ტელეგრაფის, ტელეფონის და ელექტრონის სადენები. იყო შემთხვევები, როცა ფოსტის მოხელეებზე შეიარაღებულ თავდასხმებს ახდენდნენ. აღმოჩენილ ასაფეთქებელ ნივთიერებებს, პრესის გადმოცემით, გერმანული ფირმების მარკები აკრავს, გუშინ ავსტრია-გერმანიის საზღვარზე აფეთქეს საბაჟო და ელექტრო-ანძის შენობები. ტერორისტები ბავარიაში გაიქცნენ. ვენის საგანგებო სასამართლომ ორ ნაციონალ-სოციალისტს 12 და 14 წლის პატიმრობა მიუსაჯა. (ტას).

ბელ გაბორს მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა

ვენა, 21 ივნისი. მიშკოლცში უნგრეთის სასამართლომ ჩამოხრჩობა მიუსაჯა ამ ცოტა ხნის წინათ უნგრეთის საზღვარზე დაპატიმრებულ პოლიტიკურ ემიგრანტს ბელ გაბორს, რომელსაც ბრალად ედებოდა ის, რომ იგი, როგორც უნგრეთის წითელი არმიის რაზმის უფროსი 1919 წელს, აქტიურად ებრძოდა კონტრრევოლუციას (ტას).

საბჭოთა კავშირში

ს.ს.რ. კავშირის სახკომსაბჭოში

საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ დაამტკიცა „ცენტროსოიუზის" გადაწყვეტილება მცირე ხელფასიან მუშებისა და მოსამსახურეების მიერ სამომხმარებლო კოოპერაციაში შესატანი დიფერენცირებული პაის ოდენობის შესახებ. დიფერენცირებული პაი მუშათა და მოსამსახურეთა ყველა კატეგორიისათვის, აგრეთვე მათ კმაყოფაზე მყოფ პირთათვის, რომელიც არსებობდა ხელფასის მომატებამდე, რაც მოხდა საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ა.-წ. 28 მაისის დადგენილების საფუძველზე, რჩება წინანდელი ოდენობით.

ამასთან დაკავშირებით შესაფერი ცვლილებები შეაქვთ დღეისათვის არსებულ საკავშირო, რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო კავშირების გამგეობათა თავმჯდომარეები ვალდებული არიან ზუსტი კონტროლი დააწესონ ამ დადგენილების შესრულებაზე, ამასთან სასტიკ პასუხისგებაში მისცენ ის პირნი, რომლებიც დამნაშავენი იქნებიან პაის თვითნებურად გადიდებაში. (ტას).

უკრაინის მთავრობა ხარკოვიდან კიევში გადადის

მოსკოვი, 22 ივნისი. 24 ივნისს კიევში — საბჭოთა უკრაინის ახალ დედაქალაქში — გადადის უკრაინის ს. ს. რესპუბლიკის მთავრობა. ამ დღეს წინანდელი დედაქალაქი — ხარკოვის ათი ათასობით მუშები გამოვლენ ქუჩაში, რათა უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და მთავრობა გააცილონ კიევში. თავის მხრივ კიევის მშრომელნი საზეიმო შეხვედრას უმზადებენ მთავრობას. საწარმოებში იმართება მუშათა მრავალრიცხოვანი მიტინგები, მიძღვნილი კიევში მთავრობის გადმოსვლისადმი. ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის აღსანიშნავად უკრაინის მრავალი ქარხნის მუშები აწყობენ საწარმოო პროგრამის ვადამდე შესრულებას. (ტას).

გემმა „ვოლგარმა" გააკეთა პირველი რეისი ახალ ხაზზე: სტალინგრადი—პერმი. გეგმა შესრულდა 100 პროცენტით.

სურათზე: გემ „ვოლგარის" კაპიტანი ამხ. ჩელიშევი.

კონკურსი ბამბის მოსავლის მაღალ ხარისხზე

მოსკოვი, 22 ივნისი. საბჭოთა კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა გამოაცხადა ჩატარება ფართო კონკურსი ბამბის მოსავლის მაღალ ხარისხზე, ნედლეულის შეგროვების სწორ ორგანიზაციასა და სათესლე ფონდის გაუმჯობესებაზე. კონკურსი გაიშლება სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე რაიონებს, სამანქანო - სატრაქტორო სადგურებს, საბჭოთა მეურნეობებს, კოლმეურნეობებს, ბრიგადირებს, დამამზადებელ პუნქტებსა და ბამბის საწმენდ ქარხნებს შორის.

ჯილდოს გასაცემად გეგმის გადაჭარბებისა და ბამბის პროდუქციის გაუმჯობესების და სათესლე ფონდის მაჩვენებლების შესრულებისათვის გადადებულია 2 მილიონი მანეთი. დასაჯილდოებლად გამოყოფილია 5 სამგზავრო მანქანა, 20 სატვირთო ავტომანქანა, ველოსიპედები, რადიომიმღებები და სხვ.

კონკურსისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატთან სახკომის მოადგილის ამხ. ერემინის თავმჯდომარეობით ეწყობა კომისია. ადგილებზე მოეწყობა ჯილდოს გამცემი რესპუბლიკური კომისიები (ტას).

6 ივლისი— კოოპერაციის საერთაშორისო დღეა

მოსკოვი, 22 ივნისი. წელს ჩატარდება კოოპერაციის მე-17 საერთაშორისო დღის დღესასწაული. საბჭოთა კავშირში ეს დღე საზეიმოდ ჩატარდება 6 ივლისს. პარტიის მე-17 ყრილობის მიერ საბჭოთა კულტურული ვაჭრობის გაშლის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მასობრივი შემოწმების ლოზუნგით. (ტას).

სოცშეჯიბრება უგზოობის ლიკვიდაციისათვის

ხევსურეთის გზა უნდა დამთავრდეს წელს

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1934 წლის 8 აპრილის დადგენილებით, მიმდინარე სეზონში უნდა დამთავრდეს გზის გაყვანა ხევსურეთში სოფ. ბარისახომდე. ბარისახო, შატილი და ახლო - მახლო სოფლები ამჟამად მოწყვეტილი არიან რაიონის ცენტრს და, მაშასადამე უკანასკნელის ხელმძღვანელობასაც. მშრომელი ხევსურები საუკუნოებით ჩამორჩენილი იყვნენ როგორც კულტურულად, ისე ეკონომიურად.

უპირველეს ყოვლისა ეს უგზოობით იყო გამოწვეული. ხელისუფლებამ ამას ყურადღება მიაქცია და გზის გასაყვანად გადასდო 800 ათასი მანეთი. მუშაობაც დაწყებულია. მშენებლობა უზრუნველყოფილია ინჟენერ - ტექნიკოსებით და საგზაო მშენებლობაში მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით.

სოფ. მაღაროს-კარიდან 4 კილომეტრზე გზა მზათაა მიმოსვლისათვის, დანარჩენი 20 კილომეტრი დამთავრდება ოქტომბრის ბოლო რიცხვებისათვის. ამჟამად მშენებლობა საჭიროებს ზოგიერთ საშენებელ მასალას, რაზედაც საქგზატრანსმა უნდა იზრუნოს.

სუსტად მუშაობენ გზაზე მაღაროსკარის და უკანაფშავის სასოფლო საბჭოები, რომლებიც იჩენენ სისუსტეს მოსახლეობის გზაზე სამუშაოდ დროულად გამოყვანაში. რაიაღმასკომის საგზაო განყოფილება ამჟამად მთელი აპარატით გასულია ხევსურეთის გზაზე.

დიდათ უშლის საქმეს ხელს მუშების ცუდი მომარაგება სურსათ-სანოვაგით.

ყველა ეს ნაკლი სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს და ხევსურეთის გზის მშენებლობა უსათუოდ უნდა დამთავრდეს დანიშნულ ვადისათვის.

კ. ფ—ლი.

ერთადერთი გზა, და ისიც უყურადღებოთ მიტოვებული

თიანეთი ტფილისიდან 74 კილომეტრით არის დაშორებული. რესპუბლიკის ცენტრთან და საერთოდ რკინის გზასთან მას ერთადერთი ტფილის — თიანეთის გზატკეცილი აკავშირებს. უკანასკნელ ხანებში გზატკეცილი ისე გაფუჭდა, რომ არამც თუ ავტომობილისა, ურმების მიმოსვლისათვისაც კი უვარგისია.

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-მა 1933 წ. სპეციალურად შეისწავლა რაიონი და 27 იანვარს მიიღო დადგენილება, რომლითაც სხვათა შორის საქგზტრანსს და ადგილობრივ ორგანიზაციებს დაევალა ტფილის-თიანეთის გზატკეცილის კაპიტალურად შეკეთებისათვის გაეღოთ 100 ათასი მანეთი. ეს დავალება არ ყოფილა შესრულებული და გზაც აუდგენელი დარჩა. გზა კიდევ უფრო დაინგრა და წლის მიმოსვლისათვის უარესი პირობები შეიქმნა.

ახლანდელი გეგმით ამ გზაზე 165 ათასი მანეთი უნდა დაიხარჯოს. თანხა ეს სავსებით საკმარისია, მაგრამ დღემდე გაკეთებული არაფერი არის.

„საქგზატრანსმა" გზის აღდგენა თავის პირველ უბანს დაავალა. ნახევარმა წელმა [illegible] განვლო და გაცემულ თანხიდან უბანმა მხოლოდ **3.500 მანეთი აითვისა** ეს ნათლად მოწმობს, რომ პირველი უბნის ხელმძღვანელობა სრულ უპასუხისმგებლობას იჩენს ამ გზისადმი. **გეგმით წელს [illegible] კილომეტრი უნდა შეკეთდეს; არსებითად კი არცერთი კილომეტრი არ არის შეკეთებული; არც მოსამზადებელი მუშაობა ჩატარებულა.**

ამ აღმაშფოთებელ მდგომარეობას სასწრაფოდ უნდა მიექცეს ყურადღება. დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეთ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დავალების შესრულებას გზისთვის დანიშნულ თანხების არადანიშნულებისამებრ ხარჯვაში დამნაშავე პირებს სასტიკი პასუხი უნდა მოეთხოვოს.

ა. თიანელი.

ხარაგოულში არ ჩქარობენ

ხარაგოული, (საკ. კორ.) 15 — 30 მაისამდე რაიონში ჩატარდა საგზაო მშენებლობის დამკვრელი ოცდღიური მიუხედავათ ამისა, საგზაო მშენებლობაში საგრძნობი გარდატეხა მაინც არ მოხდა. 1934 წელს საგზაო მშენებლობაზე უნდა დაიხარჯოს შრომითი მონაწილეობის სახით 180.000 მანეთი. 30 მაისისათვის ეს დავალება შესრულებულია 22,7 პროც.

საგზაო განყოფილებამ ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნა მუშაობა ადგილებზე. მართალია სოფლები მიემგრენ გზებს. მაგრამ ეს გაფორმებული არ არის, არ არის დადგმული მიმაგრების ნიშნები და გლეხობამ არ იცის გზის რომელი განაკვეთისთვის არის პასუხისმგებელი ესა თუ ის სოფსაბჭო ან კოლმეურნეობა.

საგზაო განყოფილებამ ვერ შესძლო გაეშალა ადგილებზე სოც-შეჯიბრება, რაც ჩამორჩენის მთავარ მიზეზად უნდა ჩაითვალოს.

იგივე ითქმის ზოგიერთ სასოფლო საბჭოებზედაც. იქ ხელმძღვანელები ვერ აფასებენ ამ დიდი საქმის მნიშვნელობას და ვერ ახერხებენ მასების დარაზმვას მის გარშემო. ამ მხრივ აღსანიშნავია ხიდრის სას. საბჭო (თავჯდომარე ერ. ფანჯავიშვილი) სადაც შრომითი მონაწილეობის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 1.4 პროც., კიცხის საბჭო (თავჯდომარე — მალრაძე) გეგმა შესრულებულია 1 პროც. და ბორითის (თავჯდომარე ჟ. ციცქიშვილი), სადაც გეგმა შესრულებულია 6 პროც.

მოწინავე სოფ. საბჭოებია: ლამის (თავჯდომარე — ამ. ლომიძე), რომელმაც გეგმა 24 პროც. შეასრულა. ხევის (თავჯდომარე — ილ. გოგილაძე), სადაც გეგმა შესრულებულია 26 პროც.

რაიონის პროფკავშირის და კომკავშირის ორგანიზაციები სრულებით არ მონაწილეობენ საგზაო მშენებლობაში. არა სჩანს აგრეთვე ქალთა მონაწილეობაც.

ადგილობრივ ბიუჯეტიდან საგზაო მშენებლობაზე გეგმით უნდა დაიხარჯოს 20.000 მანეთი. დღემდე ეს თანხა სრულებით არ არის გამოყენებული. საგზაო განყოფილების თანამშრომლებს 4 თვეა ჯამაგირი არ მიუღიათ.

არ არის გაშლილი მუშაობა საკომბაგაციო თანხების ასაკრეფად. თითქმის არცერთი სას. საბჭოში არ აკრეფილა ეს თანხა.

რაიონის ორგანიზაციებმა უნდა გაძლიერონ მუშაობა ამ ხაზით.

ალ. მანკვეტაძე

ახალი ხიდი მდ. მეჯუდაზე სოფ. მეჯვრისხევში (გორის რაიონი). აგებულია მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით.

რაიონი იბრძვის კარგი გზებისათვის

(წერილი სენაკიდან)

რაიონული ორგანიზაციები ენერგიულად იბრძვიან —იმისათვის, რომ 1935 წ. დამლევისათვის რაიონში მოისპოს უგზოობა.

ჩამოყალიბებულმა უგზოობის წინააღმდეგ მებრძოლმა რაიონულმა შტაბმა მოსამზადებელი მუშაობა უკვე გაშალა. შედგენილია კონკრეტული გეგმა, თუ როგორ და სად უნდა ჩატარდეს საგზაო მშენებლობა. გეგმა დაყვანილია თვითეულ სოფსაბჭომდე.

უნდა შეკეთდეს შემდეგი გზები: სენაკი - ზუგდიდი, სენაკი - აბაშა, ნოსირი - გეჯეთი, გეჯეთი - ძვ. სენაკი, ბეთლემი - ფოცხო, ხოქალაქევი - ქურზუ, ეკი - ახალსოფელი და ქალაქის გარე უბნის ქუჩები. ხსენებული გზების მშენებლობის დამთავრება და შეკეთება მოგვცემს საშუალებას დაუკავშიროთ ერთმანეთს რაიონის ყველა სოფელი საავტომობილო გზით.

ამ დიდი სამუშაოს შესრულება მოითხოვს მასების აქტიურად დარაზმვას საგზაო მშენებლობის გარშემო. მაგრამ ჯერ კიდევ ზოგიერთ კოლმეურნეობას არა აქვს გამახვილებული ყურადღება აქეთკენ, ზოგიერთი საბჭოთა მეურნეობაც მოისუსტებს. ჩამორჩებიან უშაბათის, ზანას და ზემო-ქალდიდის სოფსაბჭოები.

ვამოწმებთ

ტფილისში ჩამოვიდა „ცუდოტრანსის" ადგილობრივი მნიშვნელობის გზების და მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის სექტორის უფროსი ამხ. ა. ბლიუმი.

ამხ. ბლიუმის მეთაურობით შექმნილია სპეციალური ბრიგადა, გაზ. „იზვესტიას", საქგზატრანსის და გაზ. „კომუნისტის" წარმომადგენლების მონაწილეობით, რომელიც შემოივლის საქართველოს სხვადასხვა რაიონს და საგზაო მშენებლობასთან ერთად შეამოწმებს აგრეთვე იმასაც, თუ როგორ სრულდება ჩვენში უგზოობის ლიკვიდაციის საკავშირო შეჯიბრების პირობები, რომელშიაც ჩაბმულია საქართველოს რესპუბლიკაც.

ბრიგადა უკვე გაემგზავრა კახეთის რაიონებში.

საქ. მძიმე მრეწველობის ხუთი თვის მუშაობის შედეგები

(კონიუნქტურული მიმოხილვა)

საქართველოს მძიმე მრეწველობამ ჯერ კიდევ ვერ მოახდინა გარდატეხა თავის მუშაობაში გეგმის შესრულების, შრომის ნაყოფიერების გადიდების, თვითღირებულების და წუნდებული პროდუქციის შემცირების მხრივ. პირიქით, ზოგიერთი დარგები საწინააღმდეგო მაჩვენებლებს იძლევიან, მთლიანად მთელმა მრეწველობამ ხუთი თვის განმავლობაში წლიური გეგმა მხოლოდ 34.2 პროც. შეასრულა. მძიმე მრეწველობიდან გეგმის გადაჭარბებით შესრულების მაჩვენებლებს იძლევა მხოლოდ საშენი მასალის წარმოება.

განვიხილოთ ცალკე დარგების მუშაობა.

* * *

მანქანათმშენებელმა მრეწველობამ 5 თვეში წლიური გეგმა 38.8 პროცენტით შეასრულა. მაისის გეგმა კი — 98 პროც. მაისში აპრილთან შედარებით გამოუშვა 69.200 მან. მეტი პროდუქცია. თვითღირებულება ნაცვლად 6 პროცენტისა შემცირდა 2,5 პროცენტით.

ზოგიერთ ქარხნებმა მაისში საგრძნობლად გააუმჯობესეს თავისი მუშაობა. მაგ. 26 კომისრის სახელობის ქარხანამ (დირექტორი სოტნიკოვი) მაისის გეგმა შეასრულა 102.4 პროც., ხოლო წლიური გეგმა ხუთ თვეში — 40.2 პროც. ქარხნის ადმინისტრაცია შესძლებს წლიური გეგმის შესრულებას, თუ კი შეინარჩუნებს მაისის ტემპებს მაგრამ საქმე მარტო რაოდენობრივ მაჩვენებლებში ხომ არ არის. **გეგმების შესრულებაში მთავარია ხარისხი.** ამ მხრივ ქარხანა ვერ იძლევა დამაკმაყოფილებელ სურათს: პირველ კვარტალში თუჯის ჩამომსხმელმა საამქრომ წუნდებული პროდუქცია გამოუშვა 11,6 პროც., სპილენძის ჩამომსხმელმა საამქრომ — 2.84 პროც., საზეინკლომ — 1.57 პროც. დანარჩენი საამქროები წუნდებულ პროდუქციის ნაკლებ პროცენტს იძლევიან. მაისში კი თუჯის ჩამომსხმელმა საამქრომ ნაცვლად 11,6 პროცენტისა წუნი გაზარდა 14.6 პროცენტამდე. ეს ფაქტები ადასტურებენ, რომ ქარხნის ადმინისტრაციას ჯერ კიდევ ვერ გაუხდია ხარისხისათვის ბრძოლა მთავარ ამოცანად. თვითღირებულება გეგმით უნდა შემცირებულიყო პირველ კვარტალში 6 პროცენტით. რაც შეეხება შრომის ნაყოფიერებას. ამ მხრივ ქარხანაში დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. მაისში შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 16 პროცენტზე მეტად გეგმასთან შედარებით.

ორჯონიკიძის სახელობის ქარხანამ (დირექტორი ყანდარელი) წლიური გეგმა ხუთ თვეში შეასრულა 35,7 პროცენტით. ხარისხობრივ მაჩვენებლების მხრივ აქაც ცუდი მდგომარეობაა. პირველ კვარტალთან შედარებით აპრილში წუნი თითქმის ყველა საამქროში გაიზარდა. ყველაზე მეტად ეს ზრდა დამახასიათებელია თუჯის ჩამომსხმელ საამქროსათვის. ამ საამქროში პირველ კვარტალში წუნი უდრიდა 13,46 პროცენტს, აპრილში კი გაიზარდა 23,41 პროცენტამდე.

კალინინის სახელობის ქარხანამ (დირექტორი გელაშვილი) პირველი კვარტალის გეგმა შეასრულა 100,6 პროცენტით, აპრილის — 103,9 პროც., ხოლო მაისის — 98,8 პროც. ქარხნის ადმინისტრაციამ მთელი რიგი ღონისძიებების გატარების შედეგად შესძლო წუნდებული პროდუქციის გამოშვების მნიშვნელოვნად შემცირება. აი, ფაქტებიც: პირველ კვარტალში წუნი მთელს ქარხანაში უდრიდა 7,3 პროც., აპრილში — 5,2 პროც., მაისში კი შემცირდა 4,5 პროცენტამდე.

მანქანათმშენებლობის დარგიდან ყველაზე უკეთეს მაჩვენებლებს იძლევა **ლითონის კონსტრუქციების ქარხანა** (დირექტორი უსოვი). ქარხანამ წლიური გეგმა ხუთ თვეში შეასრულა 41,3 პროც. მაისის გეგმა კი — 25 პროც. გადაჭარბებით. დღიური შრომის ნაყოფიერება მაისში გაიზარდა 156,4 პროცენტამდე, წუნი პირველ კვარტალში უდრიდა 0,05 პროცენტს, აპრილში კი დავიდა 0,01 პროცენტამდე.

ძალზე ჩამორჩენილია **ბათომის თუთიის ქარხანა** (დირექტორი ვილიანსკი). ქარხანამ წლიური გეგმა ხუთ თვეში შეასრულა 18,5 პროც., მაისის გეგმა კი — 45,8 პროც., დღიური შრომის ნაყოფიერება მაისში დაეცა **69,7** პროცენტამდე.

* * *

სამთამადნო მრეწველობამ როგორც ხუთი თვის, ისე კერძოდ მაისის გეგმა ჩამორჩენით დაასრულა. გეგმის შეუსრულებლობა განსაკუთრებით დამახასიათებელია „საქნავთისათვის" (დირექტორი ნიზარაულაშვილი). მან წლიური გეგმა ხუთ თვეში შეასრულა 4,9 პროც., მაისის გეგმა კი — 13,6 პროც. ასეთივე სურათს აქვს ადგილი შრომის ნაყოფიერების მხრივაც. მაისში გეგმით, გათვალისწინებული იყო ერთ მუშაზე დღიურად 36,48 მან. პროდუქციის გამომუშავება, ფაქტიურად გამოიმუშავეს 6,81 მან.

ტყიბულის ქვანახშირის ტრესტმა (დირექტორი ყანდარელი) პირველი კვარტალის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, მაგრამ შემდეგ თვეებში (აპრილი-მაისი) ვერ შესძლო აღებულ ტემპების შენარჩუნება. მაისის გეგმა შეასრულა 47,7 პროც.; ეს გამოწვეული იყო იმით. რომ მაისში ნაცვლად 2.027 მუშისა დღიურად მუშაობდა 1.050 მუშა. შრომის ნაყოფიერება მაისში დაეცა 4 პროც. გეგმასთან შედარებით.

მარგანეცის მრეწველობა (დირექტორი ბ. არუთინოვი) გასული წლის მთელ პერიოდში სამარცხვინოდ ჩამორჩა. ეს უნდა აიხსნას **„მარგანეცის ტრესტის სრულიად არადამაკმაყოფილებელი მუშაობით".. გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ მარგანეცის ტრესტის ხელმძღვანელობამ კ. მოდებაძის სახით ვერ გაიგო სოფლად შეცვლილი პირობები, ვერ გარდაქმნა თავისი მუშაობა მარგანეცის მრეწველობის წინაშე დასმულ ახალ ამოცანებთან შეფარდებით".** (ლ. ბერია). ტრესტის ხელმძღვანელობის გადახალისებამ და აპარატის მუშაობის მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე გარდაქმნის შედეგად მრეწველობამ მალწია მნიშვნელოვან წარმატებებს. ამას ადასტურებს გეგმის შესრულების დინამიკა. იანვარში მადნის ამოღების გეგმა შესრულდა 91 პროცენტით, ხოლო მაისში — 102,7 პროცენტით. გარეცხვის გეგმა იანვარში შესრულდა 73,4 პროც., მაისში კი — 103,8 პროცენტით. გაიზარდა შრომის ნაყოფიერებაც. იანვარში შრომის ნაყოფიერების გეგმა მაღაროში შესრულდა 96.5 პროც.; ქარხანაში კი — 82 პროც. მაისში შრომის ნაყოფიერების გეგმის შესრულება მაღაროში აიიდა 104 პროცენტამდე, ხოლო ქარხანაში — 99,1 პროცენტამდე.

მიუხედავად ასეთი წარმატებებისა მაისში, მთლიანად ხუთი თვის მუშაობა ვერ იძლევა დამაკმაყოფილებელ სურათს: წლიური გეგმა ხუთ თვეში შესრულდა მხოლოდ 34.7 პროცენტით.

გუმბრინი და ბარიტი (დირექტორი გუთიგუთბაიანი, ჯაფარიძე) უდიდესი მნიშვნელობის დარგებია. მიუხედავად ამისა, სამთამადნო მრეწველობის ტრესტი არ აქცევდა მათ საკმაო ყურადღებას. ამის გამო ეს წარმოებანი სისტემატიურად ვერ ასრულებდნენ გეგმებს. გუმბრინის წარმოებაში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა მას შემდეგ, რაც საქმეში ჩაერია საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი. წარმოებაზე სპეციალისტ ინჟინერთა კადრების მიმაგრებით, ამოღების მექანიზაციის და აფეთქებადი წესების შემოღების შედეგად დღეს გუმბრინი გადაჭარბებით ასრულებს თვიურ გეგმებს. მაისის გეგმა შეასრულა 102,0 პროცენტით. გაიზარდა ამ ღონისძიებათა შედეგად შრომის ნაყოფიერებაც.

შედარებით გუმბრინთან **ბარიტის** წარმოება დაბალ მაჩვენებლებს იძლევა. მან მაისის გეგმა შეასრულა 98 პროცენტით, ხოლო წლიური გეგმა ხუთ თვეში — 40 პროცენტით.

* * *

საშენ მასალათა მრეწველობა დღეს გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს. მაისის გეგმა შესრულდა 104,9 პროცენტით. გარდატეხა გეგმის შესრულებაში განსაკუთრებით დამახასიათებელია ისეთი მსხვილი წარმოებისათვის, როგორიც **კასპის ცემენტის ქარხანაა.** მან მაისის გეგმა შეასრულა 136,7 პროცენტით, ხოლო წლიური გეგმა ხუთ თვეში — 48,4 პროც.; ოთხი თვის განმავლობაში დღიური შრომის ნაყოფიერება ქარხანამ გაზარდა 143,9 პროცენტამდე.

საშენ მასალათა მრეწველობიდან აგრძნობლად ჩამორჩენილია შრომის ცეცხლგამძლე აგურის ქარხანა. მაისის გეგმა მან შეასრულა 64,2 პროც., მაისში აპრილთან შედარებით გამოუშვა 1.200 მან. მეტი პროდუქცია, მაშინ, როდესაც მაისში ბევრად უკეთეს პირობებში უხდებოდა მუშაობა აპრილთან შედარებით.

შედარებით კიდევ უფრო დიდი გარღვევებია **ღრმაღელის და ტევრის აგურის ქარხნებში.** პირველმა წლიური გეგმა ხუთ თვეში შეასრულა 15,1 პროც. მაისში წინა თვეებთან შედარებით გარღვევები კიდევ უფრო გაიზარდა. გეგმა შესრულდა მხოლოდ 17,1 პროც., ამასთან ერთად ქარხანა შრომის ნაყოფიერების დაცემის „სარეკორდო" ნიმუშს იძლევა. ოთხი თვის განმავლობაში შრომის ნაყოფიერება დაეცა 54 პროცენტით.

ტევრის ქარხანამ წლიური გეგმა ხუთ თვეში შეასრულა 16,3 პროცენტით, მაისის — 19.1 პროცენტით.

სხვა ქარხნებმა საშენ მასალათა მრეწველობის დარგიდან, როგორც ხუთი თვის, ისე მაისის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს (ნოსირის აგურის ქარხანამ მაისის გეგმა 100.9 პროც. შეასრულა, ჟურამის აგურის ქარხანამ — 107.9 პროც., თამაზნის ქარხანამ 101,8 პროცენტით, ბეტონის ქარხანამ — 114,5 პროც. და სხვ.) ამასთან ერთად ეს ქარხნები შრომის ნაყოფიერების ზრდის მაღალ მაჩვენებლებს იძლევიან.

⁂

ქიმიურ-მეტალურგიულმა მრეწველობამ წლიური გეგმა ხუთ თვეში შეასრულა 42,8 პროცენტით, ხოლო მაისის გეგმა — 97,5 პროც. გეგმის შესრულებაში დიდ გარღვევებს აქვს ადგილი **ბათომის ქიმიურ და გლაუბერის მარილის ქარხნებში.** პირველმა მაისის გეგმა შეასრულა 35,8 პროც., ხოლო მეორემ — 10,1 პროცენტით. წლიური გეგმა ხუთ თვეში პირველმა — 27.4 პროც., ხოლო მეორემ — 7,5 პროც. შეასრულა.

სხვა ქარხნებმა ქიმიურ მრეწველობის დარგიდან გეგმები, როგორც ხუთი თვის, ისე მაისის, წარმატებით შეასრულეს. განსაკუთრებით [illegible] **ხატკეცის ქარხანაზე.** ამ ქარხანამ, მიუხედავად მაისში დავალებათა გადიდებისა, გეგმა მაინც გადაჭარბებით შეასრულა როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლებით.

⁂

ასეთია საქართველოს მძიმე მრეწველობის მთავარ დარგების ხუთი თვის მუშაობის შედეგები. როგორც მოყვანილი ციფრებიდან ჩანს, მძიმე მრეწველობამ ჯერ კიდევ ვერ აიღო გეგმების შესრულებაში საჭირო ტემპები. დაბალია პროდუქციის ხარისხი. ეს ავალებს მძიმე მრეწველობის საწარმოებს გააძლიერონ ბრძოლა ხარისხისათვის მუშათა ყურადღების მობილიზაციით და მთელი ძალების დაძაბვით უზრუნველყონ გეგმების მთლიანად შესრულება.

ნედლეული—ხე-ტყის სახერხ ქარხანას

ქუთაისის ხე-ტყის სახერხი ქარხანა ზამთრის მთელ პერიოდში უმოქმედოდ იდგა ნედლი მასალის უქონლობის გამო. ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა მიმდინარე წლის მაისის ბოლომდე.

ქარხნის მუშაობის შეფერხების მიზეზი იყო ამბროლაურის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის ცუდი მუშაობა, რომელმაც ვერ მოამარაგა ქარხანა ხე-ტყის მასალით. მეურნეობის ხელმძღვანელები მასალის მიუწოდებლობას ხსნიან ობიექტური მიზეზებით: მათგან ხშირად გაიგონებთ წუწუნს, გაიძახიან: — რა ვქნათ, მეტივეები არ გვყავს და ხე-ტყე როგორ მივაცუროთ ქარხანამდეო.

ამბროლაურის სატყეო-სამრეწველო მეურნეობამ ვერ შეძლო ტაცურების სამუშაოების უზრუნველყოფა მუშა-ხელით. ადგილი აქვს მუშების დენადობას, რაც უმთავრესად გამოწვეულია საყოფაცხოვრებო პირობების მოუგვარებლობით.

მეურნეობამ ქუთაისის ხე-ტყის სახერხ ქარხანას უნდა მიაწოდოს 13.000 კუბომეტრი ხე-ტყე. დადგა ყველაზე ხელსაყრელი დრო ამ ვალდებულების განაღდებისათვის.

მეურნეობამ უნდა შექმნას პირობები იმისათვის, რათა აუცილებლად შესრულდეს ხე-ტყის დაცურების გეგმა, რითაც უზრუნველყოფილ უნდა იქნას ქუთაისის ხე-ტყის სახერხი ქარხნის ნორმალური მუშაობა.

დ. გვილავა.

მატყლის დამზადება

20 ივნისისათვის მატყლის გადასახადი მთელს რესპუბლიკაში შეგროვილია 560,4 ტონა (წინააღმდეგ მეორე კვარტალის გეგმის—530 ტონისა) 105,7 პროცენტი; აქედან მატყლის დამზადების საკავშირო გაერთიანების სისტემამ შეაგროვა 433 ტონა, გეგმის 108,8 პროც., სამომხმარებლო კოოპერაციამ—127,4 ტონა, გეგმის 96,5 პროცენტი.

ამის გარეშე შესყიდულია მატყლი 45,4 ტონა, ანუ გეგმის 80,3 პროც. აქედან მატყლის დამზადების საკავშირო გაერთიანებამ შეისყიდა 42,7 ტონა, ანუ გეგმის 118,7 პროც. და სამომხმარებლო კოოპერაცია 2,6 ტონა, გეგმის 13,7 პროც.

სულ 20 ივნისისათვის საქართველოში შეგროვილია გადასახადის წესით და შესყიდულია 605,8 ტონა მატყლი. (წინააღმდეგ გეგმით გათვალისწინებულ 585 ტონისა) რაც დამზადებისა და შესყიდვის გეგმის 108,6 პროცენტს უდრის.

20 ივნისისათვის მრეწველობას გადაეგზავნა 311,4 ტონა მატყლი. გაგზავნა გრძელდება.

მატყლის დამზადების და ვალდებულებების ჩაბარების კამპანია ჩატარებულია ნორმალური მუშაობის პირობებში; შემცირებულია ბრიგადების და ცალკე მუშაკების მობილიზაციისათვის გათვალისწინებული ხარჯები, რაც დამზადების თვითღირებულების შემცირებას იძლევა.

საქ. მსუბუქი მრეწველობის სახ. კომისრის მოადგილე

ა. კალანდაძე.

მალაქია ტოროშელიძე

პასუხი რეცენზენტებს

კარლ მარქსის და ფრიდრიხ ენგელსის შრომათა ქართულ ენაზე გამოცემას თავისი მოკლე, მაგრამ დამახასიათებელი ისტორია აქვს. მოკლეა დროის ის ნაკვეთი, რომლის განმავლობაშიაც ჩვენს ქვეყანას მოევლინა კომუნიზმის ფუძემდებელთა ყველა ძირითადი ნაწარმოები, ხოლო დამახასიათებელია კრიტიკოს-რეცენზენტების გამოხმაურება ამ მოვლენაზე.

„კაპიტალის" პირველი ტომის ბეჭდვა დაიწყო 1929 წლის ნოემბერში (25 ოქტომბერს,—ასე მაქვს მე აღნიშნული ეს თარიღი ჩემი სამუშაო ეკზემპლიარის პირველ ნაბეჭდ ფურცელზე) და 3—4 წლის განმავლობაში ითარგმნა და დაიბეჭდა ოცამდე სახელწოდების დიდი და პატარა წიგნი: „კაპიტალის" სამივე ტომი (მესამე ტომის მეორე ნაწილი ერთ წელზე მეტია, რაც სტამბაშია, ბეჭდვა მოთავებულია, მაგრამ რატომღაც აგვიანდება ბაზარზე გამოსვლა), „ფილოსოფიის სიღატაკე", „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის", „ზედმეტი ღირებულების თეორიების" მეორე ტომის პირველი წიგნი (მზადაა დასაბეჭდად დანარჩენი სამი წიგნიც), „ანტი - დიურინგი", „გლეხთა ომი გერმანიაში", „გოთას პროგრამის კრიტიკა", „ლ. ფეიერბახი", „თვრამეტი ბრიუმერი", „სამოქალაქო ომი საფრანგეთში", „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა", „წერილები კუგელმანისადმი", (მზად არის მარქს - ენგელსის მიწერ - მოწერის პირველი და მესამე ტომი), „კაპიტალის კონსპექტი" და ენგელსის რეცენზიები „კაპიტალზე".

მათი მოცულობა უდრის დიდი და პატარა ფორმატის 7.200 გვერდს, ანუ 450 სასტამბო ფურცელს. მცირე გამონაკლისის გარდა ყოველი წიგნი 15.000-ს ტირაჟით დაიბეჭდა, და ამოდენა პროდუქცია ჩვენმა წიგნის ბაზარმა სულ მოკლე ხანში შთანთქა.

აქედან აშკარაა მკითხველი მასის განწყობილება ამ ნაწარმოებებისადმი.

ასევე ნათელი არ არის ჩვენი პერიოდული პრესის საქციელი. განცხადებაში თუ წაიკითხავდა კაცი, რომ ესა და ეს თარგმანი გამოვიდა ან გამოდისო. მეტზე ის თავს არ იწუხებდა. გაზეთმა „კომუნისტმა", რომელმაც თავის მკითხველებს პრემიის სახით „კაპიტალის" პირველი ტომის 8.000 ცალი დაურიგა, ვერ მოიცალა ამავე მკითხველებისთვის ეთქვა,—თუ რა ღირსებისაა ეს თარგმანი. ვერ მოიცალა დღემდე. როცა წიგნი უკვე აღარ იშოვება ბაზარზე.

მაგრამ ამ ბოლო დროს ის დუმილი შეიცვალა. სხვადასხვა მხრიდან, სხვადასხვა პოზიციებიდან ახლა ილაშქრებენ რეცენზენტ - კრიტიკოსები; ისინი გამოდიან როგორც ცალკეულად, ისე წყვილად და ბრიგადულად.

ცალკეულად გამოდის ვინმე C. ის რუსულად სწერს ქართული თარგმანის შესახებ, რუსულ ჟურნალის საშუალებით ელაპარაკება ქართველ მკითხველს. ამ ჟურნალს ეწოდება **„Национальная литература"** და გამოდის კრიტიკო - ბიბლიოგრაფიული ინსტიტუტის სახელით მოსკოვში.

ავტორს სამი წიგნის თარგმანი აქვს თავისი კრიტიკის საგნად და ბიულეტენის სამ გვერდზე ათავებს მათთან ყოველივე ანგარიშს.

როგორია მისი მსჯავრი?

ამისთვის საკმარისია მოვიყვანოთ ერთი ადგილი მისი კრიტიკული განხილვიდან: **«Было бы политической близорукостью не видеть меньшевистских попыток переводчика «белить учредительное собрание и явно оппортунистических проявлений гнилого либерализма со стороны редакции»** („პოლიტიკური სიბეცე იქნებოდა— არ დაგვენახა დამფუძნებელი კრების შელამაზების მენშევიკური ცდა მთარგმნელის მხრივ, და დამპალი ლიბერალიზმის აშკარა ოპორტუნისტული გამოცხადება რედაქციის მხრივ". აღნიშნული ბიულეტენის 1933 წლის სექტემბრის ნომერი, გვ. 10).

კრიტიკოსს ბევრი უჩხრეკია, ბევრი ოფლი უღვრია და არც ერთი კორექტორული შეცდომაც არ გაუშვია აღუნიშნავად. მაგ. სიტყვა „პოლიციურის" ნაცვლად რატომ გიხმარიათ სიტყვა „პოლიტიკურიო", გენერალ გალიფეს ნაცვლად მის ცოლზეა ლაპარაკი და რატომ გამოგიტოვებიათ სიტყვა „ვოლიო". წიგნისთვის არ დაგირთავთ არც წინასიტყვაობა, არც კომენტარიებიო. დართული შენიშვნებიც უშინაარსოა, მაგ. „აგეზილაოს მე-II, სპარტას მეფე, მეფე აგისის უმცროსი ძმა", „აგის მე-II, სპარტას მეფე, აგეზილაოსის უფროსი ძმა" და სხვ.

საკითხავია, რაღად სჭირდება ავტორს ამოდენა ჩხრეკა, რაც მან უკვე გამოამჟღავნა ისეთი მომაკვდინებელი ცოდვები, როგორიც არის „მენშევიკური ცდა", „დამპალი ლიბერალიზმი", „აშკარა ოპორტუნისტული გამოცხადება", (აქ მცირე შენიშვნა. ფრჩხილებში: დამპალი ლიბერალიზმი იმდენად კეთილსურნელოვანი კი უნდა იყოს, რომ საჭიროებდეს „აშკარა" და თანაც „ოპორტუნისტულ" გამოცხადებას). ბოლოს და მოითხოვოს ავტორმა თარგმანების მოსპობა, ხოლო მთარგმნელ - რედაქტორის პასუხისგებაში მიცემა.

ვაგოთ პასუხი. მხოლოდ ჯერ შევიტყოთ, — რაზეა დაფუძნებული ჩვენს წინააღმდეგ მომართული ეს საშინელი ბრალდება.

მარქსი „18 ბრიუმერში" ლაპარაკობს 1848 წლის დამფუძნებელ კრებაზე და ააშკარავებს მის სიდუხჭირეს. რეცენზენტს აგონდება, რომ დამფუძნებელი კრება ჩვენს დროში აერთიანებდა ყველა კონტრრევოლიუციონურ პარტიას ოქტომბრის რევოლიუციის წინააღმდეგ და, რადგან ბრძოლა ამ კონტრრევოლიუციის წინააღმდეგ ჯერ არ გათავებულა, დამფუძნებელი კრების ხსენება უნდა იწვევდეს ვენათა ღელვას. ის გვიკიჟინებს: „დამფუძნებელი კრება სხვადასხვა ნაირად არის თარგმნილი—ზოგან, როგორც „საკანონმდებლო კრება", ზოგან როგორც „ეროვნული კრება", ანდა როგორც „ჩამოყალიბებული ეროვნული კრება".

რა მოსაზრებით ხდება ეს? ალბად იმ მიზნით, რომ დავაბნიოთ მკითხველი და აჭრელებული ტერმინების შემწეობით გავაწყალოთ დამფუძნებელი კრების მთლიანი სურათი. რეცენზენტი ამას არ ამბობს. მაგრამ უეჭველია გულისხმობს.

ნამდვილათ საქმე ასეა. სადაც გერმანულ ტექსტში ნახმარია სიტყვა „Legislative Nationalversammlung", ქართულად ნათარგმნია „საკანონმდებლო ეროვნულ კრებად", „Nationalversammlung" ნათარგმნია „ეროვნულ კრებად". „Konstituirende Nationalversammlung" ნათარგმნია „ეროვნულ დამფუძნებელ კრებად". არავითარ ბოროტ განზრახვას აქ ადგილი არა აქვს.

რეცენზენტი განაგრძობს: „ერთ ადგილას „ეროვნული კრება" შეცვლილია სიტყვით „კონსტიტუცია". ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს უკვე არა შეცდომებთან, არამედ განსაზღვრული ტენდენციურობის გამოცხადებასთან"; ე. ი. განზრახ სცვლით ერთ სიტყვას მეორე სიტყვით.

ნეტავ რა ძალა გვადგა, რომ „ეროვნული კრება" „კონსტიტუციით" შევცვალოთ, ესეც ხომ დამფუძნებელი კრების ნათრით არ მოგვდის!

მაინც რა საფუძველი აქვს ავტორს ეს სიყალბე გვიკიჟინოს? ერთადერთი მისი საფუძველი რუსული თარგმანია, ის რუსული თარგმანის შემწეობით ამოწმებს ქართულ თარგმანს და გერმანულ ტექსტს, ორიგინალს სათუოდ არ ეკარება. რუსულ თარგმანში კი შეცდომაა დაშვებული; იქ ასეა ნათქვამი: «Национальное собрание вызывает, таким образом, на насильственное уничтожение самого себя». ეს ადგილი გერმანულ დედანში ასეა: „Hier fordert sie also ihre gewaltsame Vernichtng heraus". ეს sie ეკუთვნის კონსტიტუციას და არა ეროვნულ კრებას. რუსული გამოცემა ამას იქვე, შემდეგ წინადადებაშივე, ასწორებს და მომდევნო წინადადებას: „sie heiligt nicht nur"... უკვე ასე თარგმნის: конституция (და არა Национальное собрание) не только освящает»...

ამგვარად, ავტორის ეს „საფუძველი" ქვიშაზეა აგებული.

მაგრამ ის არ სცხრება და უფრო და უფრო ეფექტიან ბრალდებებს ისვრის: „მთარგმნელი, ეტყობა შეგნებულად არ სარგებლობს „დამფუძნებელი კრების" ცნების გამოსახატავად ქართულ ენაზე კარგად ცნობილი ტერმინით, თანაც ეს ტერმინი იმ ადგილებშია ხმარებიდან განდევნილი, სადაც მარქსი ხაზს უსვამს დამფუძნებელი კრების უძლურობას და აშკარად აკრიტიკებს მის პოლიტიკას".

მერე რომელია ასეთი ადგილები, რომლებიც ჩვენ განგებ („შეგნებულად") დაგვიმახინჯებია დამფუძნებელი კრებისადმი უზომო სიყვარულის გამო. მოვუსმინოთ ავტორს: „ის ადგილი, სადაც მარქსი დასცინის დამფუძნებელ კრებას „რომელიც წარმოიშვა მთელი მეცნიერების არჩევნებიდან (და) ნაციას წარმოადგენდა", ნათარგმნია იმ ანგარიშით, რომ აზრის მხრივ სრულიად საწინააღმდეგო ეფექტი მივიღოთ, — სახელდობრ, რომ დამფუძნებელი კრება არჩეული იყო ხალხის მიერ და ხალხს წარმოადგენდა".

გამოდის, რომ ჩვენ თურმე დამფუძნებელ კრებას ვალამაზებთ და, სადაც მარქსი დაცინვით ამბობს — დამფუძნებელი კრება მთელი მეცნიერების არჩევნებიდან წარმოსდგა, და ნაციას წარმოადგენდაო. ჩვენ ვამბობთ—ის ხალხის მიერ იყო არჩეული და ხალხს წარმოადგენდაო.

თუ მართლა ვალამაზებთ ჩვენ დამფუძნებელ კრებას და მარქსის დაცინვას — ნაციას წარმოადგენდაო — ჩვენ ვაყალბებთ და მარქსს ვათქმევინებთ—იგი ხალხს წარმოადგენდაო, — თუ ყველაფერი ეს მართალია, სამართლიანი იქნება ავტორის მსჯავრი: ეს მენშევიკური ცდაა, დამპალი ლიბერალიზმია.

გავუშინჯოთ კბილი ამ ბრალდებას. ქართულ თარგმანში სწერია არა ის, რასაც რეცენზენტი მოგვაწერს, ე. ი. „ხალხის მიერ იყო არჩეული და ხალხს წარმოადგენდაო". არამედ ის, რომ „ერის მიერ იყო არჩეული და ერს წარმოადგენდა". გარჩევა არის ამ ორ სიტყვაში და რეცენზენტს უნდა ქონდეს უნარი გაარჩიოს სიტყვა „ერი" სიტყვიდან „ხალხი". რა უფლებით სთარგმნა მან სიტყვა „ერი" სიტყვით „Народ?", რა ქვია ამას, თუ არა სიყალბის ჩადენა?

შემდეგ. რეცენზენტის ფიქრით, მარქსის დაცინვა თურმე იმაში გამოიხატება, რომ დამფუძნებელი კრება „მთელი მეცნიერების არჩევნებიდან წარმოსდგაო". ბრჭყალებში ჩასმული სიტყვები ჩვენს თარგმანში არ მოიპოვება. სწორედ ამიტომ ის თავზე კაკალს გვამტვრევს და „დამპალი ლიბერალიზმის" და „მენშევიკური ცდის" დაღით გვამშვენიერებს.

ვნახოთ, როგორ არის ეს ადგილი გერმანულ ტექსტში: „Aus den Wahlen der Nation hervorgegangen", რაიცა ნიშნავს: ნაციის არჩევნებიდან წარმოსდგა, ნაციის მიერ იყო არჩეული. ხოლო რადგან „ნაციის" შესაფერი სიტყვა ქართულ ენას მოეპოება, ჩვენი თარგმანიც სავსებით სწორია, როცა ეს ადგილი ასეა გამოხატული: „ერის მიერ იყო არჩეული".

მაშ საიდან გამოატყვრინა რეცენზენტმა ფრაზა: „მთელი მეცნიერების არჩევნებიდან წარმოსდგაო". როდის იყო, რომ მეცნიერება არჩევნებს აწარმოებდა? საქმე იმაშია, რომ რეცენზენტი ბრმად მიყვება რუსულ თარგმანს და ამ უკანასკნელის კორექტორულ შეცდომას ორიგინალის ხელის აზრად ასაღებს: დიახ, რუსულ თარგმანში კორექტორული შეცდომაა და ამის მისახვედრად დიდი ჭკუა არ იყო საჭირო. ხელნაწერში იქნებოდა „из выборов нации" („всей" ზედმეტია) და აწყობის დროს სიტყვა „нации" სიტყვით „науки" შეიცვლებოდა. ასეთი შეცდომებიდან არც ერთი გამოცემა არ არის დაზღვეული, მაგრამ დაკვირვებული მკითხველი მათ ადვილად არჩევს და მათზე არ აშენებს სხვების გასაბიაბრუებელ დასკვნებს.

ეს მხოლოდ ჩვენს რეცენზენტს დაემართა ის, რომ რუსული თარგმანის კორექტორული შეცდომა ვერ გაიგო, ვერ გაიგო მაშინაც, როდესაც ამის შესაძლებლობა ქონდა ქართული თარგმანის შედარებისას და ბოროტი სიხარულით დამთვრალმა ისროლა უტიფარი ბრალდება („მენშევიკური ცდა", „დამპალი ლიბერალიზმი").

რა დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ აქედან თვით რეცენზენტის მიმართ? ერთადერთი სწორი დასკვნა ის იქნება, რომ რეცენზენტ C-ს არც ჭკუა ამძიმებს და არც სინდისი, მისი უტიფრობა მის უმეცრებას შეეწონება.

დავტოვოთ C, სანამ სხვა კომბინაციაში ამოყოფდეს თავს და გადავიდეთ სხვა რეცენზენტებზე.

ჩვენს ხელთ არის რუსული ჟურნალი «Революция и национальности», რომლის გ.-წ. მეოთხე ნომერში მოთავსებულია რეცენზია „კაპიტალის" პირველი ტომის ქართული თარგმანის შესახებ. აქ უკვე მთელი ბრიგადა გამოდის შემდეგი შემადგენლობით: 1) სეით დევდარიანი, 2) ნ. იმნაიშვილი, 3) გ. სარჩმელია, 4) გ. სოსელია (ბრიგადირი), 5) შ. თავართქილაძე.

ბრიგადა შემდეგი სიტყვებით იწყებს თავის რეცენზიას: «Выход в свет «Капитала» на грузинском языке представляет собою фактор (ალბად შეცდომაა, უნდა იყოს факт) огромного политического и культурного значения. Это показывает высокий теоретический и культурный уровень партийной организации и открывает огромные возможности в дальнейшей борьбе за идеологическое воспитание партии и беспартийных масс». („ქართულ ენაზე „კაპიტალის" გამოსვლა უზარმაზარი პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობის ფაქტს წარმოადგენს. ეს გვიჩვენებს პარტიული ორგანიზაციის მაღალ თეორიულ და კულტურულ დონეს და უზარმაზარ შესაძლებლობას ქმნის შემდგომი ბრძოლისთვის პარტიისა და უპარტიო მასების იდეოლოგიური აღზრდის საქმეში").

ამნაირად, ბრიგადა პირველ ყოვლის ჩვენს პარტიულ ორგანიზაციას იწონებს — მაღალი თეორიული და კულტურული დონე აქვსო და რაკი მან „კაპიტალი" გამოსცა, იდეოლოგიური აღზრდის საქმეც უკეთ წავა, პარტიის და უპარტიო მასების აღზრდა კარგ პირობებში ჩადგებაო.

ძალიან კი უხდება, თუ თქვენც იტყვით, ბრიგადის შემადგენლობას პარტიული ორგანიზაციის შემფასებელის როლი! არა ნაკლებ უხდება მას მზრუნველობის გამოჩენა იდეოლოგიური აღზრდის საკითხებისადმი, პარტიის და უპარტიო მასის აღზრდისადმი; მაგრამ რას ავხირებოდეთ: ბრიგადა გვაქებს, ხომ არ გვაგინებს! მაგრამ ამის შემდეგ იწყება კრიტიკა.

ბრიგადა გვიკიჟინებს — რედაქციამ ენგელსის გამოცემა არ გამოიყენაო. გამოდის, რომ ჩვენ ბრმად მივყვებოდით კაუცკის გამოცემას და ენგელსის გამოცემაში ცალი თვალითაც არ ვიხედებოდით. ჩვენს წინასიტყვაობაში ნათლად არის ნათქვამი, რომ ისარგებლობით ძველი (ე. ი. ენგელსის) გამოცემით. ასე რომ არ იყოს, რომ მართლა მარტო კაუცკის დავყრდნობოდით, საიდან მოხდა, რომ კაუცკის გამოცემაში ჩვენ აღმოვაჩინეთ 22 შეცდომა, ზოგი კორექტორული და ზოგიც არსებითი ხასიათისა. ეს შეცდომები ჩვენს წინასიტყვაობაშია აღნიშნული და ჯერ არავისგან გვიგონია, რომ ჩვენი შენიშვნები სწორი არ იყოს. მარქს - ენგელს-ლენინის ინსტიტუტმა 1932 წელს გამოსცა პირველი ტომი გერმანულ ენაზე და შედარებისას აღმოჩნდა, რომ 19 შემთხვევაში ჩვენ შორის სრული თანხმობაა, ხოლო რაც შეეხება დანარჩენ სამს, აქაც სიმართლე ჩვენს მხარეზე გვგონია და ინსტიტუტს მხოლოდ უნებლიეთ გაპარვია ეს შეცდომები.

არც ფრანგული გამოცემა გამოუყენებია რედაქციას, საკმარისადო. რითი მტკიცდება ეს?

„ფრანგულ გამოცემაში მოიპოვება სტრიქონები, აბზაცები და მთელი გვერდებიც, რომლებიც არ შესულა ენგელსის და კაუცკის ტექსტში". მერე ჩვენ რა უფლება გვქონდა ეს ადგილები შეგვეტანა ქართულ თარგმანში და ამით თვით „კაპიტალის" ძირითადი ტექსტი დაგვედგინა. ეს დიდი კადნიერება იქნებოდა ყველას მხრივ, ვინც ამას მარტო ნაბეჭდი ტექსტების მიხედვით მოახდენდა ჩვენი როლი ისეთაც მეტად საპასუხისმგებლო იყო, და რაღად უნდა გამოვკიდებოდით ჩვენთვის სრულიად შეუფერებელ საქმეს — დაგვედგინა ახალი ტექსტი, განსხვავებული ენგელსისა და კაუცკის ტექსტიდან.

„არის ადგილები, რომლებიც არა აქვს ენგელსს, მაგრამ აქვს კაუცკის და მოიპოვება ფრანგულ გამოცემაში. ქართულ თარგმანში კი ეს არ სჩანს".

აი ნიმუში უპასუხისმგებლო სიტყვების რახარუხისა. ყველაფერი უკლებლად ნათარგმნია, რაც კი ფრანგული ტექსტიდან კაუცკის გამოცემაში შესულა. მაგრამ რა ენაღვლება ბრიგადას, მას მხოლოდ სათქმელი ქონდეს და არ დაგიდევს—მართალია ეს თუ ტყუილი.

„უნდა ვიფიქროთ, რომ რედაქცია თავის განკარგულებაში ქონდა ინგლისური გამოცემა". საიდან „მოიფიქრა" ეს ბრიგადამ, როდესაც ჩვენ არსად არ ვლაპარაკობთ ინგლისურ გამოცემაზე. საკმაოდ არ გამოუყენებია რედაქციას ინგლისური გამოცემაო, ბრძანებს ბრიგადა. არ გამოგვიყენებია არც საკმაოდ, არც არასაკმაოდ, რადგან სრულიად არა გვქონია ჩვენ იგი. ბრიგადა შარს ეძებს. ასე, რომ არ იყოს, ეთქვა და გაეთავებია—ინგლისური გამოცემით არ უსარგებლია ქართულ გამოცემასო და ნათელი იქნებოდა ჩვენი შეცდომებაც. თუ იმაზე გადაგვკიდებია ბრიგადა, რომ ვამბობთ — „უცხო ენებზე მოყვანილი ციტატები ორიგინალების მიხედვით ითარგმნაო", ეს მარტო ინგლისურ ციტატებს არ შეეხება, არამედ სხვა ენებზე მოყვანილ ციტატებსაც და ჩვენს მიერ ითარგმნა არა კაუცკის გამოცემაში მოყვანილი გერმანული თარგმანის მიხედვით (ეს თარგმანის თარგმანი იქნებოდა), არამედ უშუალოდ, ძველ გერმანულ გამოცემებში მოყვანილი უცხო ტექსტების მიხედვით.

რედაქციას არც ნიკოლაი-ონის რუსული თარგმანით უსარგებლია, რომელსაც მარქსი მშვენიერ თარგმანს უწოდებდაო. ცოდვა გამოტეხილი სჯობია, მართლა არ გვისარგებლნია ჩვენ ამ თარგმანით. რაც მარქსს 1873 წელს მშვენიერ თარგმნად მიაჩნდა, არ შეიძლებოდა ასეთად დარჩენილიყო 1930 წელს, უკეთესი არ გამოჩენილიყო 57 წლის განმავლობაში. თუ მარქსმა პირველი ტომის თარგმანს „მშვენიერი" უწოდა, ლენინმა მეორე და მესამე ტომის თარგმანს „ნაკლებ დამაკმაყოფილებელი" უწოდა და მასთან შედარებით „უკეთესად" მიიჩნია ბაზაროვის და სტეპანოვის თარგმანი. ჩვენც ეს უკეთესი ავირჩიეთ დამხმარე წიგნად, მაგრამ დამხმარედ და არა სახელმძღვანელოდ. ეს აშკარად სჩანს თუნდაც იმ 56 შეცდომის აღნიშვნიდან, რომელიც რუსულ თარგმანში მოიპოვება და წინასიტყვაობაში გვაქვს მოთავსებული. ამის შესახებ ბრიგადა კრინტს არა სძრავს, თუმცა მის მიერ ნაჩხრეკდილავი არც ერთი უსწორობა არ შედარება რუსული თარგმანის შეცდომებს.

ასეთ აბდაუბდაზე ამდენ ხანს იმა-

მივცეთ სკოლებს
საჭირო ინვენტარი და პოლიტექნიკური მოწყობილობანი

სკოლების მომარაგება ინვენტარითა და პოლიტექნიკური მოწყობილობით ერთერთი გადაუდებელი ამოცანაა. მის დროულ შესრულებაზე დიდად არის დამოკიდებული ახალი სასწავლო წლისათვის მზადყოფნა. საქართველოს მთელმა რიგმა რაიონებმა წელს ამ საქმეს თავის დროზე მოკიდეს ხელი: ჩაატარეს ძველი ინვენტარისა და პოლიტექნიკური ხელსაწყოების პასპორტიზაცია, შეადგინეს ახალი ინვენტარის დამზადების და ძველის შეკეთების გეგმა; ზოგი რაიონი მიმდინარე სასწავლო წლის დამთავრებამდე შეუდგა ძველი ინვენტარის შეკეთებას და ახალის დამზადებას.

მაგრამ არიან ისეთი რაიონები (**ასპინძა, ადიგენი, ყარაია** და ნაწილობრივ **დუშეთი**) და ცალკეული სასოფლო საბჭოები, სადაც ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს სათანადოდ არ აფასებენ. მაგ. **ადიგენის** რაიონის სკოლები ძალზე ღარიბია სასკოლო ინვენტარით. აქ ბევრ სკოლაში ვერ ნახავთ პოლიტექნიკურ ხელსაწყოებს; გეოგრაფიის ძველთა-ძველი რუკებიდან მხოლოდ კალენკორია დარჩენილი.

დუშეთის რაიონის ზოგიერთ სკოლის გამგეს ისიც კი ვერ მოუხერხებია, რომ სკოლაში საკმაო ცარცი მაინც ჰქონდეს. **ყარაიას** რაიონის თვითეულ სკოლას 3-4 პარტაზე მეტი არ მოეპოვება და ისიც ძალზე ძველი. ამ რაიონის სკოლებისთვის საჭიროა 320 პარტა, 17 დაფა, 17 მაგიდა. მაგრამ ამის დამზადებას ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები შეუძლებლად თვლიან სხვადასხვა „ობიექტიური მიზეზის" გამო. რაიაღმასკომის მუშაკები თავს „იმართლებენ" იმ მოტივით, რომ „ინვენტარის დამზადება ბიუჯეტით არ ყოფილა გათვალისწინებული და რადგანაც მოსახლეობის მეტი წილი მთებშია წასული, ამიტომ სახსრებს ვერ გამოვძებნითო".

ასეთივე მდგომარეობაა **ცაგერის** და **საგარეჯოს** რაიონებში, სადაც ჯერაც არ დაუწყიათ ძველი ინვენტარის შეკეთება და ახალის დამზადება.

ამ მხრივ არც ტფილისის ზოგიერთ რაიონშია დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. **გარეუბნის** რაიონს მხოლოდ ექვს სასოფლო საბჭოში (**წყნეთი, ნატახტარი, მისაქციელი, მცხეთა, მუხრანი**) დაიწყო სკოლების ინვენტარით მომარაგება. დანარჩენ სასოფლო საბჭოებში (**ველეთი, წავკისი, საგურამო, ჩარდახი, ნორიო**) თავსაც არ იწუხებენ ახალი სასწავლო წლის სამზადისისათვის. **ნორიოს** სას. საბჭოს თავმჯდომარე **გოგიაშვილი** აცხადებს: „**ახალი სასწავლო წლისათვის მზადება სკოლის გამგის მოვალეობაა და პასუხსაც მას მოსთხოვენ**". ასეთი მუშაობის შედეგად ამ სოფელში ჩაშლილია სკოლების ინვენტარით მომარაგება.

სტალინის რაიონის სკოლებს გეგმის მიხედვით ესაჭიროებათ 750 ახალი პარტა, 50 მაგიდა, 58 დაფა, 60 ვენური სკამი და სხ. ასეთივე მდგომარეობაა **26 კომუნარის** და **ლენინის** სახელობის რაიონებშიაც. აქ დგამის შესაძენად დღემდე არაა მიღებული გადამჭრელი ზომები.

ტფილისის სკოლებისათვის საჭირო ინვენტარის დასამზადებლად პოლიტექნიკური მოწყობილობათა ფაბრიკას ჯერჯერობით მიღებული აქვს პარტების და დაფების შეკვეთა სტალინის და ლენინის რაიონებიდან. ტფილისის სხვა რაიონები დაკვეთებს რატომღაც აგვიანებენ.

ქარხნის დირექცია ჯერ კიდევ 11 მაისს თხოვდა ტფ. განათლების განყოფილებას ხელშეკრულების დადებას, მაგრამ დღემდე ტფილისის განათლების განყოფილებამ ამ მიმართვაზე პასუხი არ გასცა. თუ პოლიტექნიკურ მოწყობილობათა ქარხანას ახლავე არ მიეცა დაკვეთა, იგი ვერ შესძლებს სკოლებისათვის საჭირო ახალი ინვენტარის დროზე დამზადებას.

აღსანიშნავია, რომ პოლიტექნიკურ მოწყობილობათა ქარხანა განიცდის ნედლი მასალის ნაკლებობას. **მსუბუქი მრეწველობის** სახკომისარიატი არ ზრუნავს ქარხნის ნედლი მასალით მომარაგებაზე. მაგალითად, გასულ კვარტალში ექვსი ვაგონი მასალის მაგიერ ქარხანამ ფაქტიურად მხოლოდ 2 ვაგონი ხე-ტყის მასალა მიიღო. მეორე კვარტალში ქარხანას 800 ფურცელი დოქტიდან დღემდე არცერთი არ მიუღია, რაც საფრთხეში აყენებს დაკვეთების შესრულებას და ახალი სასწავლო წლისთვის მზადებას.

ინვენტარით და აუცილებელი ხელსაწყოებით სკოლების მომარაგების ტემპები **აშკარად არადამაკმაყოფილებელია**. პარტიულმა, საგანმანათლებლო, სამეურნეო და პროფესიულმა ორგანიზაციებმა აქედან შესაფერისი დასკვნები უნდა გამოიტანონ.

შ. ჯიქია

ციტრუსები
ციტრუსების ნარგავებს კარგად უვლიან
(ლანჩხუთი).

ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობებში, გეგმით გათვალისწინებული 22 ჰექტარის ნაცვლად, წელს მანდარინის პლანტაცია გაშენდა 41 ჰექტარზე. მაგრამ ნერგების დარგვა ხომ საბოლოოდ არ წყვეტს ციტრუსების განვითარების საკითხს. მთავარია შემდეგ მისი წესიერად მოვლა, ზრუნვა იმისათვის, რომ ლიმონისა და მანდარინის თვითეულმა ნარგავმა მოგვცეს მეტი და უკეთესი ხარისხის ნაყოფი. ამ მხრივ ლანჩხუთის რაიონი კარგ მაგალითს იძლევა.

აპრილსა და მაისში, გვალვების დროს, ყველა კოლმეურნეობაში ორ დღეში ერთხელ წარმოებდა მანდარინისა და ლიმონის ნარგავთა მორწყვა, დაჩრდილვა და მცენარის ირგვლივ ნიადაგის შემობარვა.

მანდარინის პლანტაციის მოვლის საქმეში თვალსაჩინო მაგალითს იძლევა სოფ. მამათის ამხ. ლ. ბერიას სახ. კოლმეურნეობა. პლანტაციაზე მიმაგრებული ამხ. **ა. ჩხაიძე** ყოველდღიურად ამოწმებს და უვლის მანდარინის ნარგავებს. კარგი მოვლის შედეგად ამ კოლმეურნეობის პლანტაციაში (3 ჰექტარი) მანდარინის **არც ერთი ძირი არ გამხმარა**.

საუკეთესოდ უვლიან ციტრუსებს ახალი სოფლის და ქვიანის კოლმეურნეობებიც.

ქვიანის კოლმეურნეობის მანდარინის პლანტაცია წინათ ცუდ მდგომარეობაში იყო. ნერგები მოუვლელობით ხმებოდა. გამგეობამ პლანტაციაზე მიამაგრა დამკვრელი კოლმეურნე **პ. წულაძე**. ამის შემდეგ მდგომარეობა გამოსწორდა. წულაძემ მანდარინის ნარგავს მისცა სასუქი, ჩაატარა შეწამლვა და მცენარის დაჩრდილვა. ახლა ამ კოლმეურნეობის მანდარინის პლანტაცია რომ ნახოთ, გაგეხარდებათ.

რაიონში მანდარინის პლანტაციის პირველი თოხნა 46 ჰექტარზე 30 მაისისათვის დამთავრდა. 1 ივნისიდან დაიწყო მეორე თოხნა.

პლანტაციებში შეტანილია მინერალური სასუქი, ავადმყოფობის თავიდან ასაცილებლად ციტრუსოვანი ნარგავები მთლიანად შეიწამლა.

მაისში ჩატარდა კოლმეურნეობების, კოლმეურნეთა ინდივიდუალურ სარგებლობაში არსებულ და ერთპიროვნულ მეურნეთა ლიმონისა და მანდარინის ნარგავთა პასპორტიზაცია. ეხლა გამორკვეულია ნერგის ჯიში, ნარგავის წლოვანება.

მანდარინის პლანტაციაზე მიმაგრებული ზოგიერთი კოლმეურნე საყვედურს გამოსთქვამს იმის გამო, რომ კოლმეურნეობის გამგეობა მათ არ უწევს სათანადო დახმარებას და ხელმძღვანელობას, არ ზრუნავს მათი ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

ახალი სოფლის კოლმეურნეობის მანდარინის პლანტაციაზე მიმაგრებული ამხ. ურუშაძე გამგეობის წინაშე აყენებდა საკითხს, რომ პლანტაციისათვის მოეწყო ქარსაცავი (კრიპტომერიის დარგვის საშუალებით), მაგრამ კოლმეურნეობის გამგეობა ამ სასარგებლო წინადადებას ყურადღებას არ აქცევდა. ასეთ მაგალითებს ადგილი ჰქონდა აგრეთვე შუხუთის და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში. უკვე მიღებულია ზომები ამ მდგომარეობის დაჩქარებით გამოსასწორებლად.

მანდარინის პლანტაციაზე მიმაგრებულ კოლმეურნეთა შორის გაშლილია სოცშეჯიბრება. მაგ. **ბ. ჩხაიძეს** (სოფ. მამათის კოლმეურნეობიდან) სოცშეჯიბრებაში ჰყავს გამოწვეული აცანის კოლმეურნეობის პლანტაციაზე მიმაგრებული **აბ. ცინცაძე** და ა. შ.

სოცშეჯიბრებაში ჩაბმული კოლმეურნენი ახდენენ ურთიერთშემოწმებას, რამაც კარგი შედეგი გამოიღო.

კონკრეტული ხელმძღვანელობისა და კოლმეურნეთა თავდადებული მუშაობის შედეგად ლანჩხუთის რაიონში ციტრუსები მაგრად იკიდებს ფეხს. აქ ჩაის კულტურასთან ერთად ვითარდება სუბტროპიკული კულტურებიც.

ვ. ქარსელაძე.

ბრძოლა მავნებლებთან
(მიხაკისფერი ხოჭო)

„კომუნისტის" 22 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ აჭარისტანში ციტრუსოვან ხეხილს გაუჩნდა მავნებელი — მიხაკისფერი ხოჭო.

ამ ცნობის საფუძველზე ლიმონმანდარინის ტრესტის დირექტორმა ამხ. **მ. ნიორაძემ** სასწრაფო განკარგულება გაუგზავნა ლიმონტრესტის საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს და უფროს აგრონომებს დაწვრილებით გამოიკვლიონ რამდენად არის გავრცელებული ეს მავნებელი და ადგილებზევე მიიღონ გადამჭრელი ზომები მათ წინააღმდეგ.

ლიმონტრესტის სპეციალისტ-ენტომოლოგ **მგალობლიშვილს**, რომელიც მინდვრის მავნებლებთან მებრძოლთა მოსამზადებელ კურსებს ხელმძღვანელობდა ქობულეთში, წინადადება მიეცა — დაიაროს ლიმონმანდარინის ყველა საბჭოთა მეურნეობა და შეისწავლოს, თუ რა მდგომარეობაშია თითოეულ მეურნეობაში მინდვრის მავნებლებთან ბრძოლის მხრივ.

ლიმტრესტის სპეციალისტ აგრონომ **ეკიმოვის** განმარტებით მიხაკისფერი ხოჭო საქართველოში ახალი გაჩენილი არ არის. ამ მავნებელს აქ ოცი წლის წინად იცნობდენ. მიხაკის ფერი ხოჭო ანადგურებს არა ერთ რომელიმე, არამედ ყოველგვარ მცენარეს (ფოთოლსაც და ფესვსაც). ის თანაბრად ეტანება როგორც ბაღებს და პლანტაციებს, ისე ტყესაც. ამიტომ საჭიროა ბრძოლის წარმოება არა რომელიმე ცალკე ნაკვეთზე არამედ მთელ მიდამოზე.

მიხაკის ფერი ხოჭოს წინააღმდეგ ხმარობენ ჩვეულებრივ შხამებს, ხოლო თუ მავნებელი დიდი რაოდენობით გაჩნდა, მაშინ საჭიროა მის წინააღმდეგ ხელით ბრძოლა.

[illegible]

მზადება საშემოდგომო თესვისათვის
საანეულო ხვნის გეგმა შესრულებულია

მოსავლიანობის გადიდების ერთერთ მთავარ პირობას ნიადაგის კარგად დამუშავება წარმოადგენს, ვინაიდან კარგად დამუშავებულ და გაფხვიერებულ ნიადაგში თესლი უფრო სწრაფად ღვივდება და ვითარდება. ამასთან ერთად ნიადაგის კარგად დამუშავება სპობს სარეველა ბალახს და მცენარეს ზრდას უადვილებს.

ამ მიზნით წარმოებს საადრიო ანეული, მზრალად ხვნა, ნიადაგის აოშვა და სხვ.

გეგმის თანახმად მომავალ საშემოდგომო თესვისათვის საადრიო ანეული აღმოსავლეთ საქართველოში წელს 29.800 ჰექტარზე უნდა ჩაეტარებიათ. მოსახლეობის უმეტესობამ იცის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საადრიო ანეულს მოსავლის გადიდებისათვის, ამიტომ ამ საქმეს მუყაითად ეკიდება.

ამას ნათლად ამტკიცებს ის გარემოება, რომ 20 ივნისისთვის საადრიო ანეულის ხვნის გეგმა საქართველოში 7,2 პროც. გადაჭარბებით იყო შესრულებული.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საადრიო ანეულის გეგმისათვის ბრძოლა ზოგან საჭირო ენერგიით არ სწარმოებს.

ბაშკიჩეთის რაიონში, მაგალითად 20 ივნისისათვის შესრულებული იყო ანეულად ხვნის გეგმის მხოლოდ 12,1 პროც., **ახალციხის რაიონმა**—47,8 პროც. **თიანეთის რაიონში**—47 პროც., **ადიგენის რაიონში**—49,7 პროც., **გურჯაანის** რაიონში 51,7 პროც. და **დუშეთის** რაიონში 75,8 პროც.

სამაგიეროდ სტალინისის, გორის, თელავის, ტფილისის, ლიუქსემბურგის, ალბულაღის და საგარეჯოს რაიონებს ანეულად ხვნის გეგმა დიდი გადაჭარბებით აქვთ შესრულებული.

ჩამორჩენილმა რაიონებმა მაგალითი ამ მოწინავეთაგან უნდა აიღონ, უახლოეს დღეებშივე დაამთავრონ გათვალისწინებული ფართობის ანეულად მოხვნა და ამით ახლავე გაშალონ ბრძოლა მომავალ საშემოდგომო ნათესების მაღალი მოსავლიანობისათვის.

ვადაზე 25 დღით ადრე

სტალინისი, 22 ივნისი. აგარის სამანქანო - სატრაქტორო სადგურმა **საანეულო ხვნა დაწესებულ ვადაზე 25 დღით ადრე დაამთავრა და გეგმა 105 პროცენტით შეასრულა. მოხნულია 1158 ჰექტარი.**

რემონტის კარგმა ხარისხმა უზრუნველყო ტრაქტორების შეუფერხებელი მუშაობა. სამანქანო - სატრაქტორო სადგურის სატრაქტორო ბრიგადები ბევრად უკეთესად მუშაობდენ, ვიდრე გასულ წელს.

№ 10 ბრიგადამ არა თუ გადაჭარბებით შეასრულა ხვნის გეგმა, არამედ საწვავი მასალის დიდი რაოდენობა მოიზოგა. **ამისათვის ბრიგადამ მიიღო სამანქ.-სატრ. სადგურის პოლიტგანყოფილების გარდამავალი დროშა და ფულადი ჯილდო 688 მანეთი.**

ნორმების სისტემატიურად გადაჭარბებით შესრულების და მუშაობის კარგი ხარისხისათვის დაჯილდოებულ იქნა აგრეთვე საუკეთესო დამკვრელი ტრაქტორისტი **სტეფანაძე**.

მაგრამ ყველა კოლმეურნეობა როდი იბრძოდა ანეულის ხვნის კარგი ხარისხისათვის. დირბის კოლმეურნეობაში დაშვებულია ხარვეზები. ბრეთის კოლმეურნეობაში ანეულის ხვნის გეგმა თუმცა გადაჭარბებით შეასრულეს, მაგრამ ხვნის შემდეგ ფარცხვა არ ჩაუტარებიათ, ხოლო ფარცხვა მთავარი ღონისძიებაა ტენის შესანარჩუნებლად. ასეთივე მდგომარეობაა სოფ. რუისის, გომის და სხვ. კოლმეურნეობებში.

ნელა მიმდინარეობს საანეულო ხვნა **ერთპიროვნულ მეურნეობებში**. ერთპიროვნულმა მეურნეებმა საანეულო ხვნის გეგმა მხოლოდ ერთი მესამედით შეასრულეს. 20 ივნისათვის ქარელის სას. საბჭოში გეგმა შესრულებული იყო 36 პროცენტით, **კახის ჯვარში**—41 პროც. აბისში—43 პროც. (ადს).

სიმინდის ნათესების თოხნა
უნდა დაჩქარდეს

სიმინდის ნათესების დამუშავება საქართველოში წელს ძალზე არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

პირველი თოხნა აღმოსავლეთ საქართველოში 20—25 მაისს უნდა დაემთავრებიათ.

20 ივნისისათვის სიმინდის პირველი თოხნა ჩატარებული იყო სულ 210.829 ჰექტარზე, გეგმა შესრულებული იყო 52,5 პროცენტით.

რაიონების მიხედვით სიმინდის ნათესების პირველი თოხნა ჩატარებულია:

	ჰექტ.	პროც.
ახალციხის	2.774	99,9
ადიგენის	3.802	100
ტოლოშის	448	94.1
სტალინისის	12.062	89,4
გორის,	7.488	80,3
კასპის	2.754	76,5
ბორჯომის	1.306	72,5
გურჯაანის	5.708	100,7
სიღნაღის	1.469	96,4
თელავის	8.895	100
ყვარლის	2.974	55,4
ლაგოდეხის	3.030	84,8
ტფილისის	1.736	70,7
ბორჩალოს	970	100
ლიუქსემბურგის	1.000	76,5
დუშეთის	643	36,6
ალბულაღის	187	23,8
საგარეჯოს	3.348	67,2
თიანეთის	131	10,6
სამხ.-ოსეთში	5.110	63,1
ქუთაისის	21.911	95,9
სამტრედიის	2.780	22,4
ხონის	4.914	52.7
ვანის	3.740	42.7
ბაღდათის	2.118	39,8
ზესტაფონის	8.308	92,8
ჩხარის	7.707	94,2
ჭიათურის	6.257	23,9
ხარაგოულის	3.049	31,6
ოკრიბის	2.495	24,4
ონის	2.559	92,8
ამბროლაურის	6.024	80,4
ცაგერის	3.092	39,9
ჩოლურის	369	49
აბაშის	5.279	35,3
სენაკის	3.417	21,3
მარტვილის	11.440	82,2
ზუგდიდის	8.468	54,4
ხობის	512	5,6
წალენჯიხის	4.604	67
ჩხოროწყუს	1.340	14,8
ოზურგეთის	5.164	84,6
ლანჩხუთის	3.823	44,9
ჩოხატაურის	1.468	37,5
ზემო-სვანეთის	170	37,5
ფოთის	265	33,8
აფხაზეთში	14.281	37,2
აჭარისტანში	9.440	55,7

სიმინდის ნათესების მეორეთ თოხნა დაწყებული აქვს მხოლოდ 25 რაიონს, რომლებსაც 20 ივნისისათვის გათოხნილი ჰქონდათ სულ 21.220 ჰექტარი, ანუ მთელი ნათესების მხოლოდ 5,5 პროც.

დამუშავების ასეთი გაჭიანურება აშკარა საფრთხეს უქმნის სიმინდის მოსავლიანობას. ამიტომ საჭიროა პარტიულმა და სამიწადმოქმედო ორგანიზაციებმა გადამჭრელი ზომები მიიღონ — დააჩქარონ სიმინდის თოხნის ტემპები და უზრუნველყონ თოხნის მაღალი ხარისხი.

ტომ შევჩერდით, რომ ბრიგადას უკვე აქედან გამოყავს დასკვნა თარგმანის ღირსება - ნაკლოვანებაზე. იგი სწერს: „ყველა ამ გარემოებამ უეჭველად მოახდინა გავლენა რედაქციის მუშაობაზე და თვით თარგმანზე. ამის გამო ეს გამოცემა შეიცავს არსებით ნაკლოვანებათა მთელ რიგს და საჭიროებს გულდასმით გადასინჯულ იქნეს მეორე გამოცემის დროს".

ბრიგადას უეჭველად აქვს პრეტენზია ეს გადასინჯვა თვით მან მოახდინოს და შემდეგი გამოცემა თავისი სახელით გამოუშვას. მაგრამ სურს ჯერ ჩვენ გვითხრას—რა ნაკლი აღმოუჩენია და როგორ გადასინჯვას აპირებს.

მაგრამ სანამ ამ საქმის შეუდგებოდეს, კიდევ ერთ გარემოებაზე გვითითებს. „ქართული თარგმანის რედაქციამ უშენიშვნოდ მიიღო კაუცკის ორი შესწორება, რომელიც მან „კაპიტალის" პირველი ტომის გამოცემაში (თავის გამოცემაში) შეიტანა". უშენიშვნოდ მიღება მაშინ იქნებოდა, რომ ჩვენ არ დაგვებეჭდა კაუცკის წინასიტყვაობა, სადაც აღნიშნულია ეს შესწორება და მათი პასუხისმგებლის მოსაზრებაც. ჩვენ რომ ისე მოვქცეულიყავით, როგორც ამას ზოგიერთები წიგნის დაბეჭდვის შემდეგ გვირჩევენ—არ უნდა დაგვებეჭდათ კაუცკის წინასიტყვაობა, ეს იქნებოდა სხვისი აზრის მითვისება, მისი პასუხისმგებლობის თავის თავზე ჩიღება. ასე დაემართა 1932 წელს გამოსულ გერმანულ გამოცემას (ადორაცკის წინასიტყვაობით), რომელშიაც კაუცკის ორი შესწორებიდან უშენიშვნოთ არის მიღებული უფრო პრინციპიალური ხასიათის შესწორება და ნაჩვენები კი არ არის მისი ავტორი, რითაც რედაქცია კისრულობს ამ შესწორების პასუხისმგებლობას (იხ. **Karl Marx, Das Kapital, erster Band, besorgt von Marx-Engels-Lenin-Institut, Moskau, Verlag für Literatur und Politik, Wien-Berlin:** გვ. 147, სადაც რედაქცია სიტყვას „პირდაპირ" (შეფარდებას) შენიშვნას უკეთებს: „ორიგინალში იკითხება **შებრუნებული**, რაც აშკარაა წერითი შეცდომა უნდა იყოს)". ბრიგადა თითონ სცნობს, რომ ქართული თარგმანის შეჭდვის დროს ეს შესწორებები ჯერ კიდევ არ იწვევდენ უთანხმოებას; და ალბად ამით აიხსნება მათი უშენიშვნოდ შეტანა ქართულ ტექსტში. კიდევ ვიმეორებთ: უშენიშვნოდ ისინი არ არიან შეტანილი ტექსტში, შენიშვნას მათ კაუცკი უკეთებს წინასიტყვაობაში და ამით თვით კისრულობს პასუხისმგებლობას. ჩვენ მოგვეკითხება—სწორად ვთარგმნეთ თუ არა ტექსტი მისი შენიშვნებით. ამაზე ბრიგადა არაფერს ამბობს და არც არაფერი აქვს სათქმელი.

ამდენი წინასწარი შენიშვნის შემდეგ ბრიგადა გადადის თვით თარგმანის დახასიათებაზე, და ამბობს, რომ „ყველაზე უფრო ძირითად ნაკლზე" შევჩერდებით.

ვნახოთ მაინც, როგორია ეს „ყველაზე ძირითადი ნაკლი" და არა-ძირითადი მის სულზე იყოს.

პირველი ძირითადი ნაკლი თურმე იმაში მდგომარეობს, რომ თარგმანი მიახლოვებულია ტექსტთან, რაც ხელს უშლის აზრის ნათლად და ზედმიწევნილად (**точность**) გამოთქმას. „რედაქცია მეტად ფრთხილია ტერმინოლოგიური ზედმიწევნილობის დაცვის მხრივ", „სათარგმნი მასალა შესამჩნევად იმორჩილებს მას და არ არის იგი სათანადოდ გადამუშავებული ქართული ენის ლაბარატორიაში", „სიტყვასიტყვითი თარგმნა და იმაზე ზრუნვა, რომ დაცულ იქნეს ტერმინოლოგიური ზედმიწევნილობა, ხშირად იწვევს წინადადებათა ისეთ კონსტრუქციას, რომელიც არ შეეფერება ქართული ენის ბუნებას", „გრძელი და მძიმე წინადადებები ხშირად იქცევა გაუგებარ სიტყვათა გროვათ" და სხვ. მოკლეთ, თარგმანი სიტყვა - სიტყვითია, მძიმე ენაა, საჭიროა მისი გამარტივება.

ამასვე ამბობს ნოე ჟორდანია „კაპიტალის" ქართული თარგმანის შესახებ: „ეს თარგმანი ერთობ მძიმე ენითაა; საჭიროა მისი გასწორება სტილის გამარტივებით". („ბ. ხ." № 31. 1933 წ. მარტი).

ადვილად სწყვეტს საკითხს ბრიგადა და მასთან ერთად ნოე ჟორდანია. გამარტივეთ სტილი, ნუ მიყვებით ტექსტს, ნუ იცავთ ერთნაირ ტერმინოლოგიას და თარგმანი ადვილად გასაგები იქნებაო.

ჩვენ შევხვდებით სხვა ბრიგადას, რომელიც ამის საწინააღმდეგო აზრს იცავს და ამ პოზიციიდან გვაკრიტიკებს; კაცია და გუნებაო, ნათქვამია. ჩვენ ორი გუნების ხალხი უნდა მოვიგერიოთ. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ ჩვენი შეხედულება იმის შესახებ, თუ რა სიძნელეები უნდა დასძლიოს მარქსის მთარგმნელმა და როგორი უნდა იყოს კარგად შესრულებული თარგმანი.

„კაპიტალი არ არის ადვილად საკითხავი წიგნი — ვამბობთ ჩვენ ქართული თარგმანის წინასიტყვაობაში. და ამის მიზეზია არა მისი ენა, არამედ მისი საგანი — მეტად რთული სოციალური ურთიერთობანი — და მისი ღრმა მეცნიერული ანალიზი. აქ მოვლენები შეუწყვეტელ ცვალებადობაში არიან, ერთი მეორეში გადადიან, შედეგის სახით წარმოშობილნი თვით მიზეზად ხდებიან, თავისი აღმოცენების, განვითარების და გაქრობის მომენტებით მკაცრად არ იმიჯნებიან, დიალექტიკურად ერთი მეორეში იხლართებიან, იქსოვებიან და ქმნიან იმ მუდმივი დაუდგრომლობის სურათს, რომელიც თავისი არსებით არ წააგავს ჩვეული მსჯელობისათვის ხელმისაწვდენ, განმარტოებულ, ჩამოყალიბებულ საგანს და წარმოადგენს პროცესს — მეცნიერულ - ფილოსოფიური კვლევის სარბიელს... რაგინდ დახელოვნებული მთარგმნელიც იყოს, ის ვერ მოახერხებს მარტივი, სამოთხრობო ენით გადმოსცეს რთული პოლიტიკო - ეკონომიური ცნებები და დებულებები... საქმის გასაადვილებლად ხშირად დაშლიან მთლიან წინადადებას და დამოუკიდებელ წინადადებებად ანაწილებენ, მაგრამ ეს ხერხი მუდამ ვერა სჭრის, ყოველ შემთხვევაში ვერა სჭრის „კაპიტალის" მიმართ. წინადადების დაშლას ხშირად ულმობლად თან სდევს აზრის დაშლაც, ე. ი. მისი დაჩლუნგება და გაყალბება... მაგრამ თუნდაც რომ შესაძლო იყოს ეს დაშლა მთავარი აზრის დაუზიანებლად, რუსული და ფრანგული თარგმანები გაურბიან მას, ალბად იმ მოსაზრებით, რომ წვრილმანებშიაც დაიცვან დედანის ნამდვილი სახე, დაიცვან ავტორის სტილი. ეს „წვრილმანი" კი არც ისე უმნიშვნელოა, მეტადრე ისეთი მოაზრის მიმართ, როგორც არის მარქსი. ავტორი საცნაური უნდა იყოს არა მარტო მისი აზრებით, არამედ —მისი გამოთქმებით, მისი სტილით, რა ენაზედაც უნდა იყოს გადმოცემული ეს აზრები. ამაში ვხედავთ ჩვენ თარგმანის ერთ უტყუარ ღირსებას".

ბრიგადა სულ წინააღმდეგში ხედავს ამ ღირსებას, ამ საგანზე მასთან კამათი უნაყოფოა. ვნახოთ ბრიგადის აზრით, რაში შევცოდეთ ჩვენ ქართული ენის ბუნებას, სად დავამახინჯეთ აზრი.

„კაპიტალის" გვ. 224 ასეთი ფრაზა გვხვდება: „კაპიტალი, რომელსაც „საკმაო საფუძველი" აქვს უარყოს თანამედროვე მუშათა თაობის ტანჯვა, კაცობრიობის მომავალ გადაგვარების პერსპექტივას და მის აუცილებელ გადაშენებას საბოლოოდ ისევე ნაკლებად უწევს ანგარიშს თავის პრაქტიკულ მოქმედებაში, როგორც დედამიწის მოსალოდნელ დაცემას მზეზე". ბრიგადას მოყავს აქედან სიტყვები „უარყოს თანამედროვე მუშათა თაობის ტანჯვა" და ამბობს — ამის ნაცვლად უნდა იყოს „უარყოს ფაქტი ტანჯვისა", ე. ი. უნდა ჩამატოს სიტყვა „ფაქტი", თუმცა, როგორც თითონ ალიარებს, გერმანულ ტექსტში ეს სიტყვა არ მოიპოვება. უამისოდ აზრი მახინჯდებაო. რისა შველის აქ „ფაქტის" ჩამატება? თუ პედანტურ ჩხირკედელაობაზე მიდგება საქმე, კაპიტალი ფაქტს კი არ უარყოფს, ის უარყოფს, რომ მუშათა თაობის ტანჯვა ფაქტი იყოს. ზემოთ მოყვანილი ფრაზა კი ამ აზრს „უფაქტოდაც" დაუმახინჯებლად გამოხატავს.

276 გვ. მოიპოვება ფრაზა: „მრეწველობის ყოველ დარგში თითოეული ინდივიდუალური მუშა ცოტად თუ ბევრად იხრება საშუალო მუშისაგან". სიტყვა „იხრება" სიტყვასიტყვით არის თარგმნილი და აზრი მახინჯდებაო. როგორი სიტყვით უნდა შეიცვალოს, ამას ბრიგადა არ ამბობს; რა ქნას: რუსული ასლებით ხომ არ დაგვიწერს შესაფერ ქართულ სიტყვას და ასე იოლად გადის კრიტიკის თონს.

ბრიგადა განაგრძობს: „126—127 გვერდზე ვკითხულობთ: „ჩვენმა ფულის მფლობელმა, რომელიც ჯერ მხოლოდ კაპიტალისტის ჩანასახს წარმოადგენს... მისი პეპელად გადაქცევა მიმოქცევის სფეროში, უნდა ხდებოდეს" გამოდის რაღაცა უაზრობა". (**нелепость**).

ოღონდაც რომ უაზრობა გამოვა, როცა აგრე უაზროდ გასწყვეტავთ წინადადებებს და თქვენს გემოზე შეახოხლებთ მათ. აბა ისე წავიკითხოთ, როგორც თარგმანშია, თუ უაზრობა გამოვიდეს: „ჩვენმა ფულის მფლობელმა, რომელიც ჯერ მხოლოდ კაპიტალისტის ჩანასახს წარმოადგენს, საქონელი მისი ღირებულების მიხედვით უნდა იყიდოს, მისი ღირებულების მიხედვით უნდა გაყიდოს და, ბოლოს, მიუხედავად ამისა, პროცესის დასასრულს მისგან მეტი ღირებულება მიიღოს, ვიდრე შიგ მოათავსა". გასაგებია ხომ! გასაგებია, იტყვის ბრიგადაც. გადავიდეთ მეორე წინადადებაზე: „მისი პეპელად გადაქცევა მიმოქცევის სფეროში უნდა ხდებოდეს და იმავე დროს მიმოქცევის სფეროს გარეშე". ეს კი ალბად ცოტა გაუგებარია ბრიგადისთვის. ვისი გადაქცევა უნდა ხდებოდეს პეპელად? აი იმ ფულის მფლობელისა, რომელზედაც წინა წინადადებაშია ლაპარაკი. ის ჯერ კაპიტალისტის ჩანასახს წარმოადგენს, შემდეგ ფრთები გამოებმება პეპელას მსგავსად და კაპიტალისტად იქცევა. რა არის აქ გაუგებარი, რა უაზრობა წარმოსდგება აქ ვისმესთვის, თუ კი მას რაიმეს გაგების უნარი აქვს? ბრიგადა ალბად „პეპელად გადაქცევამ" შეაფიქრიანა. მაგრამ რა ექნათ? მარქსი მიმართავს ასეთ მხატვრულ სახეს, და ხომ ვერ გამოვტოვებთ ამ ადგილს—აქათა ბრიგადას ეს უაზრობად ეჩვენებაო.

„იგივეა 141 გვერდზე". ე. ი. იგივე უაზრობააო, ბრძანებს ბრიგადა. მხოლოდ არ გვეუბნება, რატომ არ მოსწონს მას აქ ნახმარი გამოთქმა: „პროცესი პროდუქტში იფერფლება", ან რა სიტყვებით უნდა შეიცვალოს იგი.

„78 გვ." არც აქ გვეუბნება ბრიგადა რატომ არ მოსწონს გამოთქმა: „საწინააღმდეგო მოჩვენება".

„გვერდი 53, 119 და სხვ." ბრძანებს ბრიგადა; მაგრამ ჩვენ არ ვიცით, რას ბრძანებს ის, რა არ მოსწონს მას. მეტადრე გაუგებარია რომელია ეს სხვ. გვერდები. ესეც თუ კრიტიკაა, რომ არც კი დაასახელო, თუ რას იწუნებ, უნდა ვთქვათ, რომ არ ყოფილა იგი ძნელი ხელობა; ესცაა, რომ მისი პროდუქციაც არავის დაამძიმებს.

ჩვენ სავსებით ამოვწურეთ რეცენზიის პირველი განყოფილება მთელი მისი შენიშვნებით. რა ვნახეთ აქ? უაზრო (თუმცა არა უმიზნო) ჩხირკედელაობა და მეტი არაფერი. გადავიდეთ მეორე განყოფილებაზე, იქნებ იქ მაინც წავაწყდეთ რამე საგულისხმოს.

„თარგმანში გამოშვებულია ცალკე სიტყვები, წინადადებები და მთელი სტრიქონებიც. მაგალითები: გვ. 13, აბზაცი მე-3 ასე იკითხება: „თუ საქონელში განხორციელებულ შრომას სახმარი ღირებულების მხრივ მნიშვნელობა აქვს მხოლოდ თვისებრივად, ღირებულების სიდიდის მხრივ მნიშვნელობა აქვს მხოლოდ რაოდენობრივად, მას შემდეგ, რაც იგი უკვე დაყვანილია ადამიანის შრომაზე". აქ აკლია სიტყვები **«без всякого дальнейшего качества»**.

აქ კი „დაგვიჭირა" ბრიგადამ: ეს სიტყვები მართლა აკლია ქართულ თარგმანს. უნდა გამოვტყდეთ, ჩვენ ძლიერ გაგვიჭირდა ამ ადგილის თარგმნა; ვიფიქრეთ, ეს გერმანული ენის თავისებურებას მიეკუთვნება და მისი სხვა ენაზე თარგმნა უხეში გამოვა, აზრსაც დააბნელებსთქო. მართალია, რუსულად ნათარგმნია ეს სიტყვები, მაგრამ გვითხარით [illegible]თი, რა აზრი აქვს ამ „**без всякого дальнейшего качества**"-ს? ამ გასაჭირიდან ფრანგულმა გამოცემამ გამოგვიყვანა. იქ არ არის ნათარგმნი ეს სიტყვები და მიუხედავად ამისა აზრი ნათლად არის გადმოცემული. ჩვენც ამ გზას გავყევით.

„45 გვ. გამოტოვებულია ფრჩხილებში მოქცეული ახსნა და თვით ცნებაც სწორად არ არის ნათარგმნი".

ეს ფრჩხილებში მოქცეული ახსნა კაუცკის ეკუთვნის. ის ჩვენ არ მოვიწონეთ და არც ვთარგმნეთ. აქაც ფრანგულ ტექსტს მივდიეთ და არავითარ უსწორობას ადგილი არა აქვს.

„მეტადრე განსაცვიფრებელია წიგნის სათაურის გამოტოვება? „კრიტიკა, პოლიტიკური ეკონომიისა".

იპოვა ბრიგადამ შეცდომა! „კაპიტალის" პირველ ტომში მართლა გამოტოვებულია ქვესათაური: „კრიტიკა პოლიტიკური ეკონომიისა". განცვიფრებულია ბრიგადა ამის გამო. რატომ არის განცვიფრებული? ალბად იმიტომ, რომ ვერ გაუგია მიზეზი ამ ქვესათაურის გამოტოვებისა. ძნელი მისახვედრი კია, მით უმეტეს, რომ მეორე ტომში მოიპოვება ეს ქვესათაური, მესამე ტომშიაც მოიპოვება იგი. და ამ ტომების რედაქტორი ერთი და იგივე პირი. სწორედ ღირდა ხუთი კაცის შრომად ამ შეცდომის პოვნა, ღირდა მის გამო მთელი ქვეყნის შეძვრა!

ბრიგადას არ უნდა დავუკარგოთ ამავე განყოფილებაში აღნიშნული ერთი შეცდომა, რომელიც გამოპარვია „კაპიტალის" რედაქციას. ესაა 15 გვერდზე, სადაც თავშივე გამოშვებულია რამდენიმე სტრიქონი. აქ ბრიგადა არ გამოსთქვამს განცვიფრებას, — ალბად იგი არ მიაჩნია ამის ღირსად.

რეცენზიის მესამე განყოფილება უფრო დიდი რიხით იწყება: „არის ცალკე ადგილების არა სწორი თარგმანები, რომლებიც სრულიად ამახინჯებენ აზრს. მაგ. 236 გვერდზე ვკითხულობთ: „საჭიროა მთელი საუკუნეები, ვიდრე „თავისუფალი" მუშა კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარების გამო თავისი ნებით **დათანხმდება** ამას, ე. ი. საზოგადოებრივად იძულებული იქნება გაყიდოს თავის ჩვეულებრივ საარსებო საშუალებათა ფასად მთელი თავისი აქტიური სასიცოცხლო დრო და თვით შრომის უნარიც-კი, — ოსპის შეჭამანდზე გაყიდოს თავისი პირმშოება". ხაზგასმული ზმნები წარსული დროის ფორმაში უნდა იყვნენ".

ასე ამბობს ბრიგადა. მაგრამ სად არის აქ აზრის დამახინჯება და ისიც „სრული დამახინჯება?".

ბრიგადას მოყავს 261 გვერდიდან ფრაზა: „ეს სრულიად არ სცვლის ჩვენს მიერ ეს—არის დამყარებულ კანონს" და მას რუსულად ასე სთარგმნის: „Это совсем не меняет **основоположенного нами** только что закона»; შემდეგ ასე ოხუნჯობს: Вм[illegible] что Маркс «основополагает», предписывает такой закон, на самом же деле Маркс говорит об «установленном» им законе».

კანონის დამყარება, აღმოჩენა სრულიადაც არ ნიშნავს კანონის გამოცემას, კანონმდებლურად გადაქცევას. ან რა მნიშვნელობისაა ეს ბრიგადის ნათარგმნი основопологает, რომელიც თურმე предписывает-საც ნიშნავს. ან იქნება გვასწავლოს ბრიგადამ—როგორ უნდა ითარგმნოს установленный?

მე კარგათ ვგრძნობ, რომ მკითხველს მოთმინება ეკარგება. არც მე მეხალისება ამაზე დროს დაკარგვა. მაგრამ რაკი ჩვენში ჩნდებიან ასეთი რეცენზენტები, მეტი რა გზაა, უნდა გავეცნოთ მათ ავლადიდებას, და შესაფერი მსჯავრი დავდოთ.

შევჩერდეთ კიდევ რამდენიმე შენიშვნაზე. ბრიგადას მოყავს 704 გვერდიდან სიტყვები: „საწარმოო საშუალებათა ცენტრალიზაცია და შრომის განსაზოგადოებრივება აღწევს იმ წერტილს, სადაც ისინი ვეღარ თავსდებიან მათ კაპიტალისტურ გარსში. ეს უკანასკნელი **სკდება**".

ბრიგადას არ მოსწონს სიტყვა „სკდება", რუსულ „**разрывается**"-ს უდრისო, უნდა იყოს კი „**взорвать**", რაიცა ნიშნავს ნაკუწნაკუწად დაამსხვრიო, ძირიან - ფესვიანად დაანგრიო, თანაც „უეჭველად ერთდროული რევოლიუციონური აქტითო".

სიტყვა разрывается-ს, რომ взрывается სკდობაა, ეს მართალია. მაგრამ „სკდება"-ს რომელი სიტყვა სჯობია, ეს კი აღარ ვიცით. გარდა ამისა, „ერთდროული რევოლიუციონური აქტით" დანგრევა - დამსხვრევა უეჭველად ბრიგადის აღმოჩენაა. სად წავიღოთ ხანგრძლივი (და არა ერთდროული) სამოქალაქო ომები, რომლებიც ავსებენ რევოლიუციის პერიოდს. ბრიგადას გონია, დიდ რევოლიუციონურობას სჩადის, როდესაც ერთდროული აქტით „ანგრევს" ყველაფერს. აქვე ბრიგადა იხსენიებს „კომუნისტურ მანიფესტსაც", სადაც მარქსი და ენგელსი ლაპარაკობენ პროლეტარიატზე, რომელიც „ძველ საზოგადოებრივ წყობილებას **Взорвет на воздух**", (მე არ ვიცი, რამდენად სწორი იქნება, რომ ვთარგმნოთ: ჰაერში ააფეთქებსო)-ფრჩხილებში შენიშნავენ, რომ „კომუნისტური მანიფესტის ქართულ გამოცემაში ეს ადგილი ნათარგმნია ოპორტუნისტულად, პლეხანოვისებურად: დაამხობს ძველ საზოგადოებრივ წყობილებასო".

ამ უკანასკნელი შენიშვნის შესახებ არსებითად მაშინ მოვილაპარაკებთ, როცა რეცენზენტების მესამე ჯგუფთან გვექნება საქმე. ახლა კი ამას იმისათვის აღვნიშნავთ, რომ თავის დროზე ნათელი გავხადოთ ამ ბრიგადის ნათესაობა იმ ჯგუფთან.

ერთი საინტერესო მომენტიც.

ბრიგადა სწერს: „კაპიტალს დართული არა აქვს შენიშვნები. და არა მარტო „კაპიტალს": მარქსიზმ - ლენინიზმის კლასიკოსების უკლებლად ყველა თარგმანები გამოდის უშენიშვნებოდ, ანდა ასეთი ხასიათის შენიშვნებით: „აგეზილოს მე-II, სპარტას მეფე, მეფე აგისის უმცროსი ძმა...".

ეს უკანასკნელი შენიშვნა ააშკარავებს ჩვენი ძველი ნაცნობი რეცენზენტს **C**-ს. ის უეჭველად ამ ბრიგადაში მოღვაწეობს და თავისი კეთილშენაძენით ამდიდრებს მას. უამისოდ ბრიგადისათვის პლაგიატობა უნდა დაგვეწამებინა: ხუმრობა ხომ არ არის ასეთი შენიშვნის მითვისება. ხოლო რომელია ამ ბრიგადაში ეს პატივცემული გვამი—ამას ჯერ ვერ მივხვდებით.

რაც შეეხება არსებითად **C**-ს კრიტიკას — თარგმანისთვის დართული შენიშვნები არაა დამაკმაყოფილებელიო, ყველას საყურადღებოდ უნდა ვთქვათ, რომ „18 ბრიუმერის" შენიშვნები არ ეკუთვნის არც მთარგმნელს და არც რედაქტორს: იგი შედგენილია ა. უდალცოვის მიერ და დართული აქვს გერმანულ გამოცემას (1927 წ.). ეს აღნიშნულია ქართული გამოცემის 147 გვ.

დროა გამოვეთხოვოთ ამ ბრიგადას, მაგრამ ის არ გვეშვება,—რომ იტყვიან რჯულამდე გვდევს. „კაპიტალს" დართული აქვს მეტად ვრცელი რეგისტრი, რომლის მსგავსი არც გერმანულ და არც რუსულ გამოცემაში არ მოიპოვება. საფიქრებელი იყო, რომ ბრიგადა ამას მაინც შეხედავდა წყალობის თვალით. მაგრამ არა! თუმცა რეგისტრი აადვილებს საჭირო ადგილების სწრაფად მოძებნას, მაგრამ ეს მეტის მეტად სტვირთავს ისედაც სქელ წიგნსო. ბრიგადის მოწოდებაა — ყველაფერი დაიწუნოს.

დასასრულ, ბრიგადა კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ აღნიშნული მაგალითებით არ ამოიწურება „კაპიტალის" ქართული გამოცემის ნაკლი. რაღა დღისთვის ინახავსო, იტყვის მკითხველი. აი რა დღისთვის: ბრიგადა გადმოგვცემს, რომ პარტგამომცემლობას განზრახავს „კაპიტალის" ხელმეორედ გამოცემა, რომლის დროსაც საჭიროა მთელი ტექსტი გადაიშინჯოსო. ალბად ამ დღისთვის ინახავს ბრიგადა დანარჩენ შენიშვნებს.

(დასასრული იქნება)

ტფილისის დამკვრელ

მასწავლებელთა შეკრება

22 ივნისს ტფილისის კულტურისა და დასვენების პარკში გაიხსნა დამკვრელ მასწავლებელთა შეკრება. კლუბის დარბაზი გაჭედილია სწავლების დამკვრელი ენთუზიასტებით. პრეზიდიუმში სხედან ტფილისის პარტიული და საბჭოთა ორგანოების პასუხისმგებელი მუშაკები: **მ. გობეჩია, ვ. ბაქრაძე, შ. გეგენავა, ნ. კუცია, კ. ქაცარავა** და სხვ.

შეკრებაზე გასული სასწავლო წლის შედეგებისა და მომავალი წლის ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა ტფ. განყ. გამგემ ამხ. კ. ქაცარავამ, რომელმაც გააშუქა ტფილისის სკოლების მიერ მოპოვებული წარმატებები. ამ მიღწევების მიუხედავად — ლაპარაკობს ამხ. ქაცარავა — სკოლების მუშაობას ჯერ კიდევ ახლავს ბევრი დეფექტი, ჯერ კიდევ მთლიანად არაა ალმოფხვრილი სკოლის მუშაობის ძირითადი ნაკლი.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოსული ამხანაგები: ჰელიძე (მე-14 სკოლა), ს. მელიქიშვილი (უსინათ. სკოლა), **ოსინსკი** (მე-69 სკოლა), სამსონაძე (პედაგოგების სამხედრო, ბანაკი), გოფმანსკი (ალ. კ. კ. ტფ. კომ.), ნ. ძიძიგური (გან: კავშირის ც. გ.) და სხვ: შეჩერდნენ უმთავრესად იმ დეფექტებზე და ხელშემშლელ **მიზეზებზე**, რომლებიც მათ მუშაობის **დროს** ხვდებოდა.

შეკრების შედეგები შეაჯამა საქ. კ.პ. (ბ) ტფ. კომიტეტის მდივანმა ამხ. **მ. გობეჩიამ**, რომელმაც ამასთან დასახა ახალი სასწავლო წლის ძირითადი ამოცანები.

ამხ. გობეჩიას სიტყვის შემდეგ ტფილისის საბჭოს წარმომადგენელი ამხ. **ნ. კუცია** კითხულობს დაჯილდოებულ დამკვრელ მასწავლებელთა სიას.

ორი თვის ხელფასით დაჯილდოებულ **იქნენ** შემდეგი მასწავლებლები: **ბალდავაძე, ციტოვსკაია** (მე-57 სკოლა). **მნაცაკანიანი** და სხვ.

ერთი თვის ხელფასით და განსახკომის სიგელით დაჯილდოებულ იქნენ: **გ. ჯაკობია, ნ. ჰელიძე** (მე-4 სკ.), **ე. ისპანდაროვა** (მე-70 სკ.), **ს. მელიქიშვილი** (უსინათლოთა სკოლა).

ერთი თვის ხელფასით დააჯილდოვეს: **მეტროვი** (მე-46 სკოლა), **მარქარიანი** (მე-81 სკოლა), **ი. უშვერიძე** (მე-7 სკოლა). **სვიშჩევი** (მე-10 სკოლა), **რ. ჭანტურია, გეგეჭკორი** (მე-14 სკოლა), **ჯავრიშვილი** (მე-18 სკოლა).

განკავშირის ც. გამგეობის პრემია (საგზურები საქართველოს აგარაკებზე). მიეცა 15 მასწავლებელს; მათ შორის: **სტეფანიანს** (მე-80 სკოლა), **პ. ყალიჩავას** (მე-9 რკ. სკოლა), **ნ. დგებუაძეს** (მე-14 სკოლა), **ოვაკიმიანს** (მე-81 სკოლა), **ნ. ნიჟარაძეს** (მე-2 ქართული სკოლა); სულ შეკრებაზე დააჯილდოეს 69 საუკეთესო დამკვრელი მასწავლებელი.

ჯილდოსათვის ტფილისის საბჭომ გადასდო 10 ათასი მანეთი, განსახკომმა—7.500 მანეთი, განკავშირის ცენტრალურმა გამგეობამ—5 ათასი მანეთის ღირებულების საგზურები.

შეკრების დასასრულს ამხ. ქაცარავამ გარდამავალი დროშა გადასცა სტალინის რაიონის განათლების განყოფილებას 1933-34 სასწავლო წლის საუკეთესო მაჩვენებლებით დამთავრებისა და ახალი სასწავლო წლის კარგი მზადებისათვის. გარდამავალი დროშა გადაეცა აგრეთვე მე-49 სკოლას (**გამგე გონჩაროვი**); შეკრებამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა ამხ. **ლ. ბერიას, ბუბნოვს, კრუპსკაიას** და სხვ.

◆

მალარიასთან

ბრძოლის ერთთვიური

1-ლი ივლისიდან მთელ ამიერ-კავკასიაში **იწყება** მალარიასთან ბრძოლის ერთთვიური, რომელიც უნდა დამთავრდეს 1-ლ აგვისტოს. ერთთვიურის მიზანია სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩაბმა მალარიასთან ბრძოლაში, საშუალებათა მობილიზაცია მალარიის გამავრცელებელი ჭაობების უვნებელსაყოფად და მშრომელთა მასების ყურადღების დარაზმვა მალარიის სალიკვიდაციოდ.

საქართველოში ერთთვიურის ჩასატარებლად გამოყოფილია კომისია ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტთან. ერთთვიურის ჩატარების ხელმძღვანელობა დავალებული აქვს ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტს, ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს და რაიონულ ჯან. განყოფილებებს.

ერთთვიურის განმავლობაში მალარიიან რაიონებს მიეცემათ მალარიის საწინააღმდეგო მედიკამენტების ახალი პარტიები.

წითელარმიელები საზაფხულო ბანაკად

კავკასიის წითელდროშოვანი არმია გადავიდა საზაფხულო მეცადინეობაზე. ზამთრის განმავლობაში მიღებული თეორიული ცოდნა განმტკიცებული იქნება ზაფხულზე მიღებული პრაქტიკით.

საზაფხულო ბანაკად გასული წითელარმიელები სწავლასთან ერთად ისვენებენ და კულტურულად ატარებენ ცხოვრებას.

სურათზე: რთული დივიზიის № საკავშირო ათასეულის წითელარმიელები საფოსტო მტრედს აძლევენ „მოხსენებას".

• • •

საგარეჯოს და ლაგოდეხის რაიონები

საკუთარ თვითმფრინავს აგებენ

ამას წინათ სიღნაღის რაიონში მოეწყო საავიტაციო გადაფრენა. თვითმფრინავმა მთელ რაიონში გაავრცელა საავიტაციო ფურცლები ლოზუნგებით მოსავლის აღების შესახებ.

როდესაც თვითმფრინავი სოფ. ხაშმში (საგარეჯოს რაიონი) მოფრინდა, იქ სახელდახელო მიტინგი გაიმართა. მოსახლეობას მოკლედ გააცნეს თვითმფრინავის დანიშნულება. ყველამ ერთხმად მოითხოვა საგარეჯოს რაიონისათვის საკუთარი თვითმფრინავის აგება. დაიწყო სახსრების შეგროვება. ამ საქმეში კარგად იმუშავა სახ. საბჭოს თავმჯდომარემ **კ. ინანიშვილმა**. თვითმფრინავისათვის თანხები უკვე მთლიანად შეგროვილია.

ლაგოდეხის რაიონშიც მოსახლეობა აღფრთოვანებით შეხვდა ლაგოდეხის რაიონისათვის თვითმფრინავის აგების აზრს. საჭირო თანხები უკვე შეგროვდა. აღნიშნული რაიონები მოკლე ხანში მიიღებენ თავიანთ თვითმფრინავებს.

• • •

ამინდი საქართველოში

22 ივნისის დილის 8 ს. 23 ივნისის დილის 8 საათამდე

დასავლეთ საქართველოში 22 ივნისს ყველგან იდგა მშრალი და მოწმენდილი ამინდი. ჰქროდა სუსტი ზომიერამდე ქარი, რომელიც რიონის ხეობაში მოძლიერო იყო. ტემპერატურა ცვალებადი იყო, დღისით 27 გრადუსიდან (გალი, ჰრებალო, სამტრედია) 21 გრადუსამდე (შოვი) და ღამით 24 გრადუსიდან (გალი) 13 გრადუსამდე (ონი).

აღმოსავლეთ საქართველოში ყველგან იდგა მშრალი ამინდი ცვალებადი მოღრუბლულობით. სუსტი წვიმა მოვიდა მხოლოდ დუშეთის, გუდაურის და თელავის მიდამოებში. ჰქროდა აღმოსავლეთის ზომიერი ქარი. ტემპერატურის ცვალებადობა დღისით აღწევდა 27 გრადუსიდან (ტფილისი, ყარაია) 14 გრადუსამდე (გუდაური) და ღამით 20 გრადუსიდან (ტფილისი) 9 გრადუსამდე (ახალქალაქი).

მოსალოდნელი ამინდი 24 ივნისისათვის: დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია მოღრუბლულობის მატება, ქარის გაძლიერება და ტემპერატურის მცირე დაწევა.

აღმოსავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ელჭექის ხასიათის წვიმა, ქარის გაძლიერება და ტემპერატურის მცირე ცვლილება.

ტფილისის საბჭო ჩაება

ქალაქის საკავშირო კონკურსში

მთელ საბჭოთა კავშირში გამოცხადებულია და უკვე მიმდინარეობს ქალაქების კონკურსი საქალაქო მეურნეობის უკეთ დაყენებაზე. კონკურსამდე ტფილისის საბჭო ჩაბმული იყო სოციალისტურ შეჯიბრებაში ბაქოსა და ერევნის საბჭოებთან. სოცშეჯიბრების მთავარი ობიექტები იყო — წყალსადენის გაყვანა, ტრამვაის მეურნეობის გაუმჯობესება და ქუჩების გამშვენიერება.

ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის ბრძოლასთან ერთად ჩაებას საკავშირო კონკურსშიაც და იკისროს დამატებითი ვალდებულებები საქალაქო მეურნეობის გასაჯანსაღებლად.

გამოყოფილი საკონკურსო შტაბი, რომელსაც დავალებული აქვს დაუყოვნებლივ დავიდა საზაფხულო მეცადინეობაზე. ზამსახლების რემონტის, ქუჩების გამწვანების და საქალაქო მეურნეობის სხვა დარგებში მაღალ მაჩვენებლების მისაღწევად.

• • •

მუშათა კლუბებსა და ბაღებში

სტალინის სახ. კლუბში დილის 11 საათიდან სტალინის რაიონის სკოლამდე ასაკის ბავშვებისათვის ეწყობა გართობები. მუშაობენ ატრაქციონები (საქანელა, კარუსელი, ბავშვების ტარება კალიასკებით და სხვ.).

საღამოთი ბაღში დაუკრავს სასულე ორკესტრი, მოწყობილია სხვადასხვა სათამაშოების ოთახები, ბუფეტში მზადდება ცხელი საჭმელები, გახსნილია გამაგრილებელი წყლების კიოსკები.

ესტრადაზე — სახ. ოპერის პრემიერების მონაწილეობით გაიმართება დიდი საღამოკონცერტი. საზაფხულო კინოში წავა ქართული სურათი „ნათელა".

ორჯონიკიძის სახ. კლუბში დღეს ეწყობა დიდი კულტურული დასვენება. დილით ლენრაიონის 1.000 პიონერზე მეტი აწყობს ფიზკულტურულ გამოსვლებს (ფრენბურთში, კალათბურთში და სხ. ფიზკულტურულ ვარჯიშობაში). პიონერებს შორის მოეწყობა საცეკვაო შეჯიბრება გ. ჩივაძის ხელმძღვანელობით. ესტრადაზე გამოვლენ პიონერთა აგიტბრიგადები.

დღის თორმეტ საათზე ჩატარდება ლექცია თემაზე „რკინის გზის ელექტროფიკაცია".

საღამოზე დაიწყება დიდი მასობრივი სეირნობა, თვით ბაღში მოეწყობა დამსვენებლების მასობრივი გამოსვლები: ცეკვები, სიმღერები და სხვ. საზაფხულო დარბაზში საცეკვაო სტუდია **გრიშა ჩივაძის** ხელმძღვანელობით გამართავს ცეკვის საღამოს. ბაღში ესტრადაზე მოეწყობა მუსიკალური ესტრადის საღამო.

ტრამვაის კლუბში დღისით ეწყობა საბავშვო დილა, საღამოთი ფიზკულტურის მოედანზე გაიხსნება კომუნალურ მეურნეობის კავშირში შემავალ ფიზკულტურის წრეების სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 300 ფიზკულტურელზე მეტი. სპარტაკიადის მთავარი მიზანია საუკეთესო მძლეოსნების გამოვლინება ფიზკულტურის სხვადასხვა დარგში.

საზაფხულო ესტრადაზე საქ. ეთნოგრაფიული გუნდი პ. ჭკონიას ხელმძღვანელობით გამართავს დიდ კონცერტს.

პლეხანოვის სახ. კლუბში დილით ნაჩვენები იქნება საბავშვო კინო ჰიგიენის საკითხებზე, კინოს მსვლელობის დროს ექიმი ილუსტრატივა ჩაატარებს ახსნა-განმარტებით საუბარს. დილითვე ქალაქში მოეწყობა კულტლაშქრობა, რომლის მიზანია ქალაქში სანიტარული მდგომარეობის შემოწმება.

საღამოთი ქართული დრამატიული წრე მართავს იუმორისტულ საღამოს პროგრამით „ჯერ დაიხოცენ, მერე იქორწინეს" და „პასუხისმგებელი მუშაკი" ნიკო გოცირიძის მონაწილეობით.

კლუბის დარბაზში მოეწყობა ცნობილი ილიუზიონისტის **გეორგინის** გამოსვლა, რომელიც ჩაატარებს საუბარს, თუ როგორ იწვევს ილიუზიას.

კინოში წავა სურათი „ახალი ცხოვრებისაკენ".

„დინამოს" ესტაფეტა

„უტილნედლეულის შეგროვებისათვის"

—

დღეს შესდგება ესტაფეტის სტარტი

დღეს, დილის 11 საათზე შესდგება პროლეტარულ სასპორტო საზოგადოების „დინამოს" მიერ უტილნედლეულის შესაგროვებლად გამოცხადებული ესტაფეტის სტარტი. სასტარტო პუნქტად არჩეულია საქ. მუშათა სასახლის შენობა, სადაც დილის 11 საათისათვის თავი უნდა მოიყარონ ფიზკულტურელებმა. სტარტის აღსანიშნავად მოეწყობა გადარბენა მუშათა სასახლის შენობიდან „დინამოს" სტადიონამდე და უკან მუშათა სასახლემდე. გადარბენის მარშრუტია — მუშათა სასახლე, სახ. ცირკის შენობა, ჟორესისა და პლეხანოვის ქ. კუთხე და „დინამოს" სტადიონი. აქედან გადარბენის მონაწილენი კარლ მარქსის ხიდის გავლით დაბრუნდებიან მუშათა სასახლესთან.

მთელი მარშრუტი დაყოფილია სამ ეტაპად: პირველი ეტაპი თავდება ცირკთან, მეორე — ჟორესის და პლეხ. ქ. კუთხეში, მესამე — „დინამოს" სტადიონთან. სამივე ამ პუნქტზე გადარბენის მონაწილეთა მისვლისთანავე გაიმართება სახელდახელო მიტინგები უტილნედლეულის შეგროვებისათვის სახელმძღვანელოდ.

ესტაფეტის სტარტის აღსანიშნავად დღეს, საღამოს, ამხ. ძერჟინსკის სახ. საზაფხულო კლუბში ეწყობა ფრენბურთში შეჯიბრება „დინამოს" და ხარკოვის გუნდებს შორის.

ტფილისის მშრომელები

უნდა მოამარაგონ კონსერვებით

ტფილისის სავაჭრო ქსელში კონსერვების ნაკლებობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ტფილისის საბჭოს მომარაგების განყოფილების ცნობით, ამის მიზეზი ის არის, რომ საკონსერვო ქარხნებიდან ხილ-ბოსტნეულის კონსერვები ტფილისის ბაზარზე არ შემოდის საკმაო რაოდენობით.

ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა მომარაგების განყოფილებას მიიღოს ზომები ქალაქის მშრომელთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ხილ-ბოსტნეულის კონსერვებით. ტფილსოფმრეწვს დაევალა უზრუნველყოს სპეციალურად ტფილისის ბაზრის საჭიროებისათვის კონსერვების წარმოება. ამ მიზნით გამოყოფილია კოოპინკავშირის საკონსერვო საწარმო „რეკორდი", რომელმაც მიმდინარე წლის ბოლომდე ტფილისის ბაზრისათვის უნდა დაამზადოს 1 მილიონი ცალი პირობითი ბანკა კონსერვი. ტფილსოფმრეწვთან ჩამოყალიბებულია სამეურნეო ანგარიშის კანტორა, რომელიც კონსერვების დასამზადებლად საწარმოს მიაწვდის 10 ტონა თუნუქს და ხილბოსტნეულის საკმაო რაოდენობას.

◆◆◆

გაიხსნა კულტურისა და დასვენების საბავშვო პარკი

18 ივნისს ტფილისში გაიხსნა კულტურისა და დასვენების საბავშვო პარკი, რომელიც ერთი საუკეთესოთაგანია ტფილისში და სანიმუშოდაა მოწყობილი. პარკში მოწყობილია საბავშვო ფიზკულტურული მოედანი, სოლარიუმი (მზის აბაზანები), ატრაქციონები (საქანელა, ცხენები და სხვ.), საბავშვო კაბინეტები და სხვ.

პარკში მოწყობილია წყლის სპორტის აუზი, რომელიც 500 ბავშვს იტევს. კულტურისა და დასვენების პარკში ბავშვები ატარებენ მთელ დღეს. აქ მათ ჯანმრთელობას ამოწმებენ ექიმები, ავადმყოფებს მკურნალობენ, დამსვენებელ ბავშვებს აძლევენ სასმელ-საჭმელს და სხვ.

სურათზე: ბავშვები ბანაობენ აუზში. შუაში — ექიმი ამოწმებს ბავშვების ჯანმრთელობას ბანაობის წინ



ხელოვნება

მუსიკალური სატირის თეატრი

კურორტ ბახმაროზე მიემგზავრება

პროფსაბჭოსთან არსებულმა მუსიკალური სატირის თეატრმა ნაყოფიერად დაამთავრა თავისი მოგზაურობა დასავლეთ საქართველოში და დაბრუნდა ტფილისში.

თეატრმა შემოიარა დასავლეთ საქართველოს მთელი რიგი დიდი კოლმეურნეობები და დაბა-ქალაქები. მათ შორის ხონი, სამტრედია, ზუგდიდი, ფოთი, სენაკი რაიონები და სხვ. დადგა 18 უფასო და 20 ფასიანი სპექტაკლი.

მუსიკალური სატირის თეატრმა დიდი მუშაობა გასწია თავის კამპანიასთან დაკავშირებით (მოხსენებები, საუბრები და სხვ.).

ამ ზაფხულს თეატრი მიემგზავრება კურორტ ბახმაროზე, სადაც 20 სპექტაკლს დადგამს.

ამასთან ერთად ჩაატარებს მომავალი სეზონისათვის მოსამზადებელ მუშაობას.

სატირის თეატრს მიჰყვება სასულე ორკესტრი.

ზუგდიდის თეატრი

ზუგდიდის ხელისუფლება დიდ ყურადღებას უწევს ადგილობრივ თეატრს. ამ ყურადღების და მზრუნველობის შედეგად ზუგდიდში ჩამოყალიბდა მტკიცე თეატრალური კოლექტივი, რომელმაც წელს დიდი მუშაობა ჩაატარა.

1933-34 წლის სეზონი ჩატარდა რეჟ. გ. გაიოკის ხელმძღვანელობით. დაიდგა 7 პრემიერა: „ლამარა", „ოლავა", „პური", „ცხვრის წყარო", „სხვისი ბავშვი", „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ" და „მტრები" ბ. ლავრენევის. სეზონის განმავლობაში (1-ლი იანვრიდან 15 მაისამდე) სულ გაიმართა 38 წარმოდგენა.

თეატრი მომსახურებას უწევდა ახლომახლო სოფლების კოლმეურნეებს და სპეციალურ წარმოდგენებს მართავდა მოწაფეებისათვის.

ამხ. შალვა დევდარიანი

წითელი არმიის ბოლშევიკთა რიგებიდან ულმობელმა შემთხვევამ გამოგვტაცა ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ბოლშევიკურ ენერგიით აღსავსე, პროლეტარული დიქტატურისათვის თავდადებული მებრძოლი, საყვარელი ამხანაგი შალიკო დევდარიანი.

ამხ. შალიკო ჯერ კიდევ პატარაობიდან ებმება მშრომელთა განთავისუფლებისთვის კომპარტიის ხელმძღვანელობით დარაზმულ ახალგაზრდობის რიგებში, ხოლო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე ხდება კომკავშირის ორგანიზაციის აქტიური მომუშავე. 1922 წელს კომკავშირის ორგანიზაციის მიერ ის იგზავნება მეთაურთა ქართულ სკოლაში. ამხ. შალიკო პარტიაში შედის 1925 წ. ის მეთაურთა სკოლაში სწავლების დროსაც გამოირჩეოდა როგორც მოწინავე კურსანტი სამხედრო პოლიტიკურ სწავლებაში, აგრეთვე პარტ-პოლიტიკურ მუშაობაში.

1926 წელს ამხ. დევდარიანი წარჩინებით ამთავრებს მეთაურთა სკოლას და ინიშნება ქართულ ცხენოსან ლეგიონში ოცეულის მეთაურად. ამხ. შალიკო იჩენდა უდიდეს ინტერესს და თავდადებას მასზე დავალებულ საპასუხისმგებლო მოვალეობათა შესრულებაში. ის სისტემატიურად იზრდებოდა, განუწყვეტლივ წარმატებებს აღწევდა. მას მალე ირჩევენ ლეგიონის კომკავშირის ბიუროს კოლექტივის მდივნად. შემდეგ ის ინიშნება სკოლის პოლიტიკურ ხელმძღვანელად ამავე ლეგიონში, იქიდან გადაჰყავთ ბოლო განყოფილების ინსტრუქტორად № დივიზიაში, უფროს ინსტრუქტორად არმიის პოლიტსამმართველოში, ხოლო იქიდან როგორც მტკიცე ბოლშევიკი და შეუდრეკელი მომუშავე, 1933 წლიდან ინიშნება ლეგიონის სამხედრო კომისრად.

მხოლოდ ლენინური კომუნისტური პარტიისათვის თავდადებულ მტკიცე ბოლშევიკს, როგორც იყო ამხ. შალიკო, შეეძლო ასე მოკლე დროში ასეთი წარმატებათა მიღება საპასუხისმგებლო პოსტებზე.

ამ ხნის განმავლობაში არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ ამხ. დევდარიანს ოდნავ შეესუსტებინოს პარტიის გენერალური ხაზისათვის შეურიგებელი ბრძოლა. ამხ. დევდარიანი არ ზოგავდა თავის ენერგიას და თავგანწირვით მუშაობდა ქვეყნის თავდაცვის გასამტკიცებლად, ლეგიონის მებრძოლთა და მეთაურთა შემადგენლობის პოლიტიკურ აღზრდისა და საბრძოლო ტექნიკის დაუფლებისათვის. მასში ნამდვილად განსახიერებული იყო როგორც მტკიცე შეუდრეკელი ბოლშევიკის, აგრეთვე საუკეთესო ამხანაგის და მეგობრის ყველა თვისება, მაგრამ ულმობელმა ტრაგიკულმა შემთხვევამ ამხ. შალიკოს სახით ფრუნზელთა ბოლშევიკების რიგებს გამოგვტაცა ჯერ კიდევ სავსებით ახალგაზრდა, 31 წლის საყვარელი ამხანაგი.

მეტად მძიმეა ამხ. შალიკოს დაკარგვა. უფრო მძიმეა ეს დანაკლისი ეხლა, როცა წითელი არმიის რიგები უფრო მეტად საჭიროებს მტკიცე ბოლშევიკურ კადრებს სოციალიზმის გამარჯვების საქმისათვის.

იმ საქმეს, რომლისთვისაც ამხ. შალიკო იბრძოდა — ფრუნზელი ბოლშევიკები მტკიცედ დაიცავენ ბოლომდე.

ს. ბუაჩიძე, პ. მიროტაძე, ა. ქვარცხავა, ლ. ყუბანეიშვილი, მ. სიმონგულოვი, დ. ჭანტურიშვილი, ტ. დემეტრაშვილი პ. ულენტი, დ. მოგელაძე, დ. ცინცაძე, ზ. კოპლატაძე, ვლ. დიდიძე, ნ. ხვინგია, პ. ქარქაშაძე, ბ. ქირია, ნანუაშვილი.

◆◆◆

ფეხბურთი

—

ბაქო—ტფილისი

დღეს, 24 ივნისს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება შეჯიბრება ფეხბურთში. თამაშობენ ბაქოს და ტფილისის გუნდები.

ბაქოს მხრიდან გამოდის აზერბეიჯანის ნავთის ინსტიტუტის გუნდი, რომელიც ერთ ერთ უძლიერეს გუნდად ითვლება ბაქოში, ხოლო ტფილისიდან — კალინინის სახელობის ქარხნის გუნდი, რომელმაც საქალაქო პირველობის გათამაშებაში მეორე ადგილი დაიკავა.

ამხ. ა. ურუშაძის დანიშვნა

ა.-კ. მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილედ

ა.-კ. ს.ფ.ს.რ. სახკომსაბჭოს დადგენილება

ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს: დაინიშნოს ამხ. ამბერკი ურუშაძე ა.-კ. ს.ფ.ს.რ. მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილედ და ა.-კ. მიწსახკომის სუბტროპიკულ კულტურათა სამმართველოს უფროსად.

ა.-კ. ს.ფ.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ილიუშინი.**

ა.-კ. ს.ფ.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ტატულოვი.**

საქართველოს ცაკი

მოსკოვ-ტფილისის საკავშირო დიზელ-ავტო გადარბენის ხელისშემწყობი კომიტეტის გამოყოფა

ს. ს. ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით გამოყოფილია მოსკოვ—ტფილისის დიზელ-ავტო გადარბენის ხელისშემწყობი კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

გ. ყურულაშვილი (კომიტეტის თავმჯდომარე), ჯავახიძე (საქ. კ.პ. (ბ) ც. კ.), ნოვიკოვი (ტფილისის საქ. საბჭო), კოშლამაზაშვილი (ტფილისის კომიტეტი), ქურდაძე ვ. (საქ. გზატრანსი), ბაგრატიონი (სოიუზტრანსი), პეტროვი (კავკას. წითელდროშოვანი არმია), ბეთანოვი (შოფერების და ავტომუშაკთა კავშირი), ოდილავაძე (ავტო-შემკეთებელი ქარხანა), თურქენიკიძე (ავტორემსნაბი), ნ. კიკნაძე (გაზ. „კომუნისტის" რედ.), გამსახურდია (თავდაცვა ავიაქიმის ცენტრ. საბჭო), გრიგორიანი („ზარია ვოსტოკა"-ს რედ.).

სრ. საქართველოს ცაკთან სახელმწიფო კრედიტის და შემნახველ საქმის დამხმარე ცენტრალური კომისიის გამოყოფა

სს ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით დამტკიცებულია: სახელმწიფო კრედიტისა და შემნახველ საქმის დამხმარე კომისია შემდეგი შემადგენლობით: კ. ხომერიკი (თავმჯდომარე), ელიავა, შონია ი., ბერძენია, ნარსია, მამიკონოვი, გრიგოლია, კუცია, ჭოხონელიძე, ჩოგოვაძე, პაპავა, ძოძუაშვილი, ეფრემიძე.

◆◆◆

ქრონიკა

მოქალაქეთა საყურადღებოდ

ქალ. ტფილისის და მისი მიდამოების კომენდანტი აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ 25, 26 და 27 ივნისს 9 საათიდან 15 საათამდე მლაშე ტბის რაიონში იწარმოებს საარტილერიო სროლა.

ოქტომბერი 6-30 8, 9-30. 11.	ხმოვანი ფილმი **ორი ოკეანე** (სიბირიაკოვის ლაშქრობა). პროფ. გარინეა—შმიდტის ჩამოსვლა მოსკოვში
დამკვრელი საზაფხ. 9-15 ს.	მხატვრული სათავგადასავლო ფილმი **„ლამურები"** რეჟისორი ი. პერესტიანი ოპერატორი—ა. დიღმელოვი. მთ როლებში: მარია და ალ. შირაები.
დამკვრელი საზამთ. 6-30, 8, 9-20 11. ფოიეში ჯაზი	
ეთერი საზაფხ. 9-15 11	**„მორცხვი"** კომედია გაროლდ ლოიდის მონაწილეობით
I ეტ. **ტემკი (საზამთ.)** II ეტ. **(საზაფხ.)**	ახალი მხატვრული კომედია **„მიყვარხარ"** ზამთრისაში 7 ს. საზაფხულოში 9 საათზე
„26"-ის სახ. კვალ. 9 11.	**„მიული"** ნატა ვაჩნაძის მონაწილეობით
რ. ლუქსემბურგის სახელობის 6.30, 8, 9-30, 11	ხმოვანი კინოდოკუმენტი, ფილმი **„თეთრი ზღვის არხი"** პროდ. გარ. საბჭ. ხელოვნ. № 10 ს. ჯ. ჟ.
„კომინტერნი" საზაფ. დიდუბე, ჯ. 11	მხატვრული ფილმი **უჯმური** რეჟისორი ც. ლოლობერიძე

ხვალ, 25 ივნისიდან

კინო „ცემა"-ში (ყოფ. დარბაზი)
ამერიკული კომედია
ქრიზანთემი
მთ. როლებში ჯორჯ ბენკროფტი და ჩესტერ კონკლინი

რ. ლუქსემბურგის სახ. კინოში
კომედია
„უმცროსი შვილი"
გაროლდ ლოიდის მონაწილეობით

დაიწყო მოწაფეთა მიღება

პოლიგრაფიული მრეწველობის საფ. საქ. სკოლაში

სკოლაში მისაღებად საჭიროა მოწმობები: 1. განათლების, 2. სოციალური მდგომარეობის 3. წლოვანების, 4. ჯანმრთელობის და 5. მშობელთა საარჩევნო ხმის უფლების შესახებ:

მოწაფეთათვის სკოლას აქვს: იაფფასიანი სასადილო, სადალაქო, ფეხსაცმელების შესაკეთებელი სახელოსნო და სხვა.

მოწაფეები მოთავსდებიან მუშებთან თანაბრად და მიიღებენ თვიურ ხელფასს 32 მანეთიდან 6 მანეთამდე.

სკოლა დამთავრებულნი, წარმოებაში გადასვლის შემდეგ, აგრძელებენ სწავლას ჩვენ სკოლასთან არსებულ მუშათა განათლების კომბინატში, სადაც მიიღებენ საშუალო განათლებას წარმოებიდან მოუწყვეტლად.

განცხადების მიღება წარმოებს 8-დან 3 საათამდე

1—1 ტფილისი. წერეთლის (ყ. განოვის) ქ. № 3. ნ. 254

გამოვიდა და იყიდება ყველგან

მნათობი № 4

შინაარსი:

მხატვრული ლიტერატურა

სიმონ ჩიქოვანი—თამაშულება ამირანზე (პოემა),
ს. შანშიაშვილი—[illegible] (მოთხრობა),
ელ. პოლუმორდვინოვ—იღვიძებენ მთები (მოთხრობა).
კ. გამსახურდია—მთვარის მოტაცება (რომანი).
მ. გორკი—რუსული ზღაპრები (თარგმ. ივ. [illegible])

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

მ. ტოროშელიძე—ეგნატე ნინოშვილი
კ. კაპანელი—ფაშიზმი ბურჟუაზიული ევროპის აზროვნებაში.

მეცნიერება

პროფ. ივ. ბერიტაშვილი—რეფლექსი და [illegible]

მემუარი

ალ. ჯაბადარი—მოგონებანი.

ფასი 2 მ.—50 კ.

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა „მნათობი" № 5.

ტფ. სახ. სამედიცინო ინსტიტუტის 1-ლ კურსზე

მისაღები გამოცდები დაიწყება ა. წ. 28 ივნისს.

1—1 **დირექცია**

ქვემოთ ჩამოთვლილი საბუთები ჩ. გ.

კავშირის წიგნაკი

ნინო ალექსის-ასულ გოგუაძის № 46728.

კოოპ. წიგნაკი

ალექსანდრე გაზაევის № 15 0187. კოლია შქროს ძე პერიაშვილის № 2336

სამხედრო წიგნაკები

ელიზბარ ანდრონიკოს ძე თავართქილაძის. სურენ წიწაშ-ძე ლოტოევის

სხვა და სხვა

წითელ პარტიზანელთა წიგნაკი № 1365 კოსტა ვატას ძე ბუალავასი. მინდობილობა № 47 და იარაღ. ტარ. ნებართვა დავით ცოცხურაულის. 7 წლ. დამთ. მოწ. ლევან ჩიგოგიძის. პასპორტი და სახუნივერსიტეტის დამთ. ცნობა ნინო ალექსის-ას. გოგუაძის. შოფერის წიგნაკი № 20 სეკრაკ იაკობის-ძე გრიგორიანის. ინვალიდ. წიგნ. № 46 რემაზოზ ხულუზაურის.

დამწუხრებული მეუღლე ქეთო ლასხიშვილი-ჩხეტიანისა აუწყებს ნაცნობ-მეგობრებს, რომ 24 ივნისს სოფ. ლეირისში (ცაგერის რ.) გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ

ანტონ გრიგოლის-ძე ჩხეტიანის

ხსოვნის აღსანიშნავად ან. 350

დამწუხრებული შვილები: ვალიკო, საშა, რძალი გუგული ქუთათელაძე, შვილიშვილი პატარა თამარი ვგლოვობთ

ანეტა ბახტაძე-ოდიშარიას

დაკარგვას. დაკრძალვა ქ. ხონში 26 ივნისს 3860

ილია რუხაძე ცოლით ბაბუცათი, შვილებით: ლევანი, სოსიკოთი, დებით: ბაბო, ოლია, ლუბათი ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამს დაუვიწყარ დეიდაშვილის

არკადი ანტონის-ძე ჟუჟარაძის

გარდაცვალების გამო 3851

გაუბედურებული მშობლები ოლიკო, სოსო, ბებია ანეტა, ბიძა ზურა მგალობლიშვილები იუწყებიან მათი უსაყვარლესი

პატარა თენგიზის

დაკარგვას. გამოსვენება დღეს 5 ს. ტელეგრაფის ჩ. № 3 ვერის სასაფლაოზე ქვ. 3869

გულდამწვარი შვილი პაშა, სიძე გერასიმე მახარაძეები შვილები: ელენა სახოკია, ნადია ბილანიშვილი, თამარა, გოგუცა ოდიშარიები დავსტირით ძვირფას მოამაგე დედის

ანა ბახტაძე - ოდიშარიას

გარდაცვალებას. 3875

დამწუხრებული ქმარი ბესარიონი, შვილები: გიორგი, კაკო, რძლები: მაქრა, თამარა, შვილიშვილები ნელიკო, თინიკო იუწყებიან მათთვის დაუვიწყარ

ანა ბახტაძე ოდიშარიას

გარდაცვალებას დასაფლავება ქ. ხონში 26 ივნისს. 3872

თინა, ლოლია შვილებით: საშუნია, ალეკო და ვერიკო გეგეჭკორები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს მათთვის დაუვიწყარ **და უსაყვარლეს ძმისწულის პატარა**

თენგიზის

უდროოდ დაკარგვას. 3868

მშობლები: ანეტო, ქეთო, ბებია კესარია, ბაბუა ალექსი, ძმები: ფრიდონი, ვაჟა, გური, დები: ლოლა, გულნარა იუწყებიან

ტიტე ანეკტოს-ძე ხარალიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 24 ივნისს ს. თავასაში. 3856

ილარიონ, სონია მახარეძეები შვილებით: გიორგი, ტარასი, გრიშა ცოლშვილით იუწყებიან, რომ დღეს 6-ნახ. საათზე ვერის სასაფლაოზე დანიშნულია საყვარელ სიძის

ვალიკო მინდელის

სამოქ. პანაშვიდი 3854

ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ უახლოესი მეგობრები: თ. არეშიძე, ჩ. გვარჯალაძე, მ. გიგინეიშვილი, კ. ულენტი, შ. წულუკიძე, შ. გიორგაძე, ღ. ორაგველიძე, ა. დათუნაშვილი, გ. გიგინეიშვილი მათი მეგობრის ზურა მგალობლიშვილის ძმის შვილის

პატარა თენგიზის

გარდაცვალების გამო 3871

საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს თანამშრომლები მწუხარებას გამოსთქვამენ ამხ. სოსო მგალობლიშვილის შვილის

გაიოზ (გიზო)

გარდაცვალების გამო. გამოსვენება დღეს ტელეგრაფის ჩ. № 3, ვერის სასაფლაოზე ქვ. 3859

საქ. მიწსახკომის სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტსექტორის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ სოსო მგალობლიშვილს მისი პატარა ბიჭიკოს

თენგიზის

უდროოდ დაკარგვის გამო. გამოსვენება 24 ივნისს 5 ს. ტელეგრაფის ჩ. № 3, ვერის სასაფლაოზე 3864

ფრუნზეს სახელობის დივიზიის სამმართველოს უფროსთა შემადგენლობა და ყველა თანამშრომლები მწუხარებას გამოსთქვამენ საუკეთესო მეგობრის, მტკიცე ბოლშევიკის, ლეგიონის სამხედრო კომისრის

ამხ. შალვა სოლომონ.-ძე დევდარიანის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო

გამოვსთქვამთ ღრმა მწუხარებას პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისათვის თავდადებული მებრძოლი ბოლშევიკის, ენერგიით აღსავსე ამხანაგის

შალვა სოლომონის-ძე დევდარიანის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო

ბუაჩიძე, მიროტაძე, ქვარცხავა, ყუბანეიშვილი, მოგელაძე, ჭანტურიშვილი, დემეტრაშვილი, გუმბარიძე, ქირია, ცინცაძე, კოპლატაძე, ხვინგია, ლომია, სიმონგულოვი, ულენტი.

№ ლეგიონის პარტიული ორგანიზაცია ღრმა მწუხარებით იუწყება მებრძოლი ბოლშევიკის, ლეგიონის სამხედრო კომისრის ამხ.

შალვა დევდარიანის

ტრაგიკულად დაღუპვას. დაკრძალვა 25 ივნისს ვერის ახალ სასაფლაოზე.

გულმოკლული ცოლი თინა, დედა ქრისტინა, მამა სოლომონი, ძმები: გაიოზ, პავლუშა, ჰაჭულა, დები მარუსა, ქსენია, რძალი ანიკო შვილებით დავსტირით ძვირფას

შალვა დევდარიანის

ტრაგიკულად დაღუპვას 3870

№ კ. მ. ლეგიონში შემავალ სახუნივის სტუდენტთა ასეულის პარტორგანიზაცია, პ.-ხელი ელიოზიშვილი, ასმ. ვაშაკიძე, ხეჩუაშვილი; ბოქორიშვილი, მიქაუტაძე, პზეკალავა, მარტიროსოვი იუწყებიან სამხედრო კომისრის ამხ.

შალვა დევდარიანის

ტრაგიკულად დაღუპვას 3865

№ ლეგიონში შემავალ სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ასეულის მეთაურთა შემადგენლობა წითელი არმიელნი ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე ლეგიონის სამხედრო კომისრის

შალვა დევდარიანის

გარდაცვალების გამო უფ.

№ ლეგიონის საარტილერიო დივიზიონის მეთაურთა და წითელარმიელთა შემადგენლობა იუწყება საუკეთესო აღმზრდელისა და მეთაურის, ლეგიონის სამხედრო კომ-სრის ამხ.

შალვა დევდარიანის

ტრაგიკულად დაღუპვას

ბებია ნატალია, დედამთილი ოლღა, მამამთილი აბესალომი, მაზლები: გიორგი, დიომიდე, სიმონი, სევერიანე, ვლადიმერი, მიშა, მულები: მარუსა, დარო ნერგაძეები რძლებით იუწყებიან

ნინა ლორთქიფანიძე-ნერგაძის

დაკარგვას 3863

ანტონი ნიკოლოზის-ძე კალატოზიშვილი მეუღლით ქეთევანით აცხადებს დაუვიწყარი ძმის, ინჟინერის

ალექსანდრე კალატოზიშვილის

მოულოდნელად გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს 5-ნახ. საათზე

ღრმად დამწუხრებული მშობლები: ბესარიონ და საშა ჯავახიები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დაუვიწყარ

ბუჩუ (შალვას) ჯავახიას

უდროოდ დაღუპვას. დაკრძალვა ახალსენაკში 26 ივნისს

საქართ. სახკინმრეწვის რეჟისორები იუწყებიან ძვირფას ამხანაგ, რეჟისორის

სიკო ფალავანდიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას

საქ. რევოლუციონურ კინემატოგრაფისტთა ასოციაცია იუწყება ასოციაციის წევრის, კინო-რეჟისორ

სიკო ფალავანდიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას

საქ. სახკინმრეწვის კინო-ფაბრიკის სამკუთხედი იუწყება რეჟისორ

სიკო ფალავანდიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი შესდგება 24 ივნისს საღამოს 7 საათზე ყოფ. მიხაილოვის საავადმყოფოს პროზექტურაში

სახკომსაბჭოს თანამშრომლები გაგუა, შენგელია, მახარაძე, ჯიბუტი ელიგულაშვილი, მედუაშვილი, გოგმაჩაძე, ძიძიგური, კობახიძე, ჯაფარიძე, შონია მწუხარებას გამოსთქვამენ ცაკის თანამშრომლის ლიმას ძმის

საშა შენგელიას

გარდაცვალების გამო 3862

ექიმები. მარგარიტა კალატოზიშვილი და მიხეილ ტყავაძე პატარა გურანდათი ღრმა მწუხარებით იუწყებიან საყვარელი მამის და იშვიათი ადამიანის ინჟინერ

ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე კალატოზიშვილის

გარდაცვალებას. 3866

ბაქოს ფეხსაცმლის ქარხნის სასწავლებლის სასწავლო ნაწილის გამგე დ. ღლონტი, მეუღლე ნადეჟდათი სიდამონიძეები მწუხარებით იუწყებიან ამავე სექტორის მოსწავლის

ბუჩუ (შალიკო) ჯავახიას

უდროოდ დაღუპვას ქ. ბაქოში 3857

ტრამვაის მუშათა დახ. კოოპ. თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ამავე დაწესებულების საგ. მეურნეობის დირექტორ სეთა მელიქოვს, საყვარელ დედის

მარიამის

გარდაცვალების გამო. დაკრძალვა დღეს, ავლაბრის სასაფლაოზე 3855

წყლოვნის საგარეუბნო მეურნეობების დირექცია მუშა-მოსამსახურეებით თანაგრძნობას უცხადებს დირექტორ ამხ. სეთა მელიქოვს საყვარელ დედის

მარიამის

გარდაცვალების გამო. გამოსვენება ორბელიანის ქ. № 27 24 ივნისს 4 ს. 3861

გიორგი ჩიგოგიძე, პეტრე ბეთანელი, გენო ნეიმანი, ევგენი ბაქრაძე, ათანასე ჭელიძე, გრიშა მახათაძე, ვანო ნასიძე მწუხარებას გამოსთქვამენ ბორის ფურცხვანიძის დედის

ლილოსი ფურცხვანიძის

გარდაცვალების გამო 3852

თავზარდაცემულნი: ცოლი ელისაბედი, შვილები: ვალერიანე, დიმიტრი, გიორგი, ვლადიმერი, მარგარიტა, ნინა, თამარი, მერი კალატოზიშვილები იუწყებიან ინჟინერის, ძვირფასი

ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე კალატოზიშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს 5-ნახ. ს. მალაქოვის 36. 3866

დამწუხრებული ძმისშვილები: ვლადიმერი ცოლით დოდიკა, ნინა ქმარშვილით ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ მათთვის დაუვიწყარ საყვარელ გამზრდელ მამიდა

ბუიტია ბერუჩაშვილის

გარდაცვალების გამო. დაკრძალვა ლილოში 23 ივნისს 3853

უახლოესი მეგობრები: ნ. თორაძე, ნ. კვარაცხელია, რ. რუხაძე, ტ. კაჭახიძე, ა. მნათობიშვილი, ი. ბერძენიშვილი, ა. ზედელაშვილი, კ. ჯალაღანია, შ. გიგინეიშვილი, მწუხარებას გამოსთქვამენ ინჟ. მიხეილი ბოკუჩავას დედის

ნეოლინა ზურაბის-ას. ბოკუჩავას

გარდაცვალების გამო. 3827

უახლოესი მეგობრები: ნ. თორაძე, ნ. ბოკერია, მ. კირილოვა, ს. ვახტანგაძე, პ. ჭანტურია, მ. ბითაძე, ს მესხელი მწუხარებას გამოსთქვამენ ინჟ. ბოკუჩავას დედის

ნეოლინა ზურაბის-ას. ბოკუჩავას

გარდაცვალების გამო. 3827

ოზურგეთის მედსანშრომის რაიონული კავშირი ღრმა გულისტკივილით აუწყებს საზოგადოებას კავშირის წევრის, ოზურგეთის აფთიაქის თანამშრომლის ექიმ თედო ჯანელიძის მეუღლის

თამარა ჯანელიძის

გარდაცვალებას. 349

ოზურგეთის აფთიაქის თანამშრომლები ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ თავიანთი თანამშრომლის საუკეთესო ამხანაგის და მეგობრის ექ. თედო ჯანელიძის მეუღლის

თამარა ჯანელიძის

გარდაცვალებას 3

№ ქართულმსროლელ ლეგიონის უფროსი, უმცროსი და წ.-არმიელთა შემადგენლობა მწუხარებით იუწყება სამხედრო კომისრის

ამხ. შალვა სოლომონისძე დევდარიანის

ტრაგიკულად დაღუპვას. დაკრძალვა 25 ივნისს ვერის ახალ სასაფლაოზე. 3889

და და ძმები ოჯახებით იუწყებიან, რომ დღეს საღამოს 6-½ საათზე ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი

მაშურა ესტატეს ასულ ლაშხაშიძის

ხსოვნის აღსანიშნავად 3876

სს ცაკის მუშაკები: ვარამაშვილი, შავიშვილი, გოგოლაძე, ჩხაიძე, დუმბაძე, გვატაძე, ბარამიძე, ბურდულაძე, ბაბაევი, დიმოევი, ცქიტიშვილი, [illegible], გაბუნია. მწუხარებას გამოსთქვამენ ამხ. გ. მირიანაშვილის მეუღლის

სონიას

გარდაცვალების გამო. 3874

დამწუხრებული ქმარი, გიორგი, შვილები: ნელი, გივიკო მირიანაშვილები ძმები შურა, რუბენ, მელიქა, ჟორა იუწყებიან საყვარელ

სოფიო ალექსანდრეს-ასულ მირიანაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვის დღე გამოცხადდება. 3877

სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებული ა 2021